თბილისის თავისუფალი აკადემია

გლობალური პოსტპანდემიური გამოწვევები

2021

ISSN 2720-7811

თბილისის თავისუფალი აკადემია

Free Academy of Tbilisi

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„აკადემლაბი“ №1

International Refereed Scientific Journal
“Academlab“ N1

22.10.2021

სალომე პირველი

თბილისის თავისუფალი აკადემიის
რექტორი
საქართველოს მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის თავისუფალი აკადემია 2021 წლის 22 ოქტომბერს რიგით XXII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას უჩვეულო გარემოში ჩაატარებს. გამოწვევამ, რომლის წინაშეც დადგა მსოფლიო, შეცვალა რეალობა, ყოველდღიურობა, ჩვეული რითმი და გვაიძულა მისი გათვალისწინება. მსოფლიო ვეღარასდროს იქნება ისეთი როგორიც იყო, რადგანაც პანდემიამ მას დიდი ზიანი და ცოდნაც ერთდროულად მოუტანა. მნიშვნელოვანი ძვრები განიცადა თითოეულმა სექტორმა არ დარჩა სივრცე, რომელსაც არ შეეხო უხილავი მტერი და სწორედ ამ რეალობას და მის ანალიზს ასახავს მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

პანდემიამ მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დააყენა საგანმანათლებლო სფერო. მოკლევადიან პერსპექტივაში გახდა აუცილებელი ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ნაკლებ ზიანს მიაყენებდა ამ პროცესში ჩართულ მხარეებს. ვფიქრობ, რომ განათლების სექტორმა ერთ-ერთმა პირველმა წარმატებით დაძლია ეს გამოწვევა და პრობლემა შესალებლობად აქცია. შეიქმნა უამრავი ციფრული სივრცე სადაც შესაძლებელი გახდა ხარისხიანი განათლების მიღება, რისი ნათელი მაგალითია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, რომელიც უხვად ტარდება ამ სივრცეებში და მხარეებს აქვთ შესაძლებლობა ერთმანეთს გაუზიარონ ამ პერიოდში მიღებული ცოდნა და გამოცდილებაც ერთდროულად.

ჩვენ კრიზისი ვაქციეთ შესაძლებლობად, მოვახერხეთ ამ გამოწვევის მართვა და ამ პროცესის ხარისხი შევინარჩუნეთ, რამეთუ ჩვენი საბოლოო მიზანი ამ ომში გამარჯვებაა და ამ მიზნისათვის ყველაფერს გავაკეთებთ.

Salome Pirvely

Free Academy of Tbilisi
Rector
Doctor of Law

Free Academy of Tbilisi will hold the XXII International Scientific Conference on October 22, 2021 in an unusual environment. The challenge faced by the world changed reality, everyday life, the usual rhythm and forced us to take it into account. The world will never be the same as it was, because the pandemic brought him great harm and knowledge at the same time. Significant shifts have been made in each sector leaving no space untouched by the invisible enemy and it is this reality and its analysis that is reflected in the current International Scientific Conference.

The pandemic posed significant threats to the education sector. In the short run it became necessary to make such decisions. Which would have done less harm to the parties involved in this process, I think the education sector was one of the first to successfully overcome this challenge and turn the problem into an opportunity. Numerous digital spaces have been created where it has become possible to receive quality education, a clear example of which is the international scientific conferences, which are abundantly held in these spaces and the parties have the opportunity to share the knowledge and experience gained during this period.

We have turned the crisis into an opportunity, we have managed to manage this challenge and we have maintained the quality of this process, because our ultimate goal is to win this war and we will do everything for this purpose.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული

მთავარი რედაქტორი:

სალომე პირველი - თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი.

მთავარი რედაქტორის მოადგილე:

ეთერ ხარაიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გულნაზ ერქომაიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

მარინე კობალავა - თბილისის თავისუფალი აკადემიის ვიცე რექტორი;

ეკატერინე ჩინჩალაძე - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ტექნიკური რედაქტორი:

მარიამ სიხარულიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი.

გრაფიკული დიზაინერი:

სოფიკო ალფაიძე.

სარედაქციო კოლეგია:

მარინა გუნარე - ბალტიის საერთაშორისო აკადემიის ასოცირებული პროფესორი (ლატვია);

ლიუდმილა შიმანოვსკაია - პოლტავას ეკონომიკისა და კომერციის უნივერსიტეტის სრული პროფესორი (უკრაინა);

ლევან საბაური - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი (საქართველო);

გოგიტა თოდრაძე - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი (საქართველო);

ანზორ აბრალავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო);

მეგი მანდარია - თბილისის თავისუფალი აკდემიის ასოცირებული პროფესორი (საქართველო);

მურმან ციქუბაძე - თბილისის თავისუფალი აკადემიის ასისტენტ პროფესორი (საქართველო);

ანჟელა აბულაძე - თბილისის თავისუფალი აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი (საქართველო);

მაია ვასაძე - თბილისის თავისუფალი აკადემიის ბინესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე, ასისტენტ პროფესორი (საქართველო);

© ყველა უფლება დაცულია "თბილისის თავისუფალი აკადემია" 2021

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ,,აკადემლაბი", გამოიცემა წელიწადში ერთხელ. აღნიშნულ ჟურნალში წარმოდგენილი იქნება

საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი მეცნიერების და სპეციალისტების კვლევები და პრაქტიკული მუშაობის შედეგები

ჟურნალი დაიბეჭდა "ბარტონი"

PROCEEDINGS OF THE INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

EDITOR-IN-CHIEF:

Salome Pirvely – Free Academy of Tbilisi, Rector.

DEPUTY EDITOR-IN-CHIEF:

Eter Kharaishvili - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor;

Guliko Erkomaishvili - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor;

Marine Kobalava - Free Academy of Tbilisi, Vice Rector.

Ekaterine Chinchaladze - Academic Doctor of Psychology

TECHNICAL EDITOR:

Mariam Sikharulidze Head of Public Relations.

GRAPHIC DESIGNER:

Sopiko Alpaidze.

EDITORIAL BOARD:

Marina Gunare - Associate Professor at the Baltic International Academy (Latvia);

Liydmila Shymanovska-Dianich - Full Professor at Poltava University of Economics and Trade (Ukraine);

Levan Sabauri - Candidate of Economic Sciences (Georgia);

Gogita Todradze - National Statistics Office of Georgia, CEO (Georgia);

Anzor Abralava - Georgian Technical University, Associate Professor (Georgia);

Maggie Mandaria - Free Academy of Tbilisi, Associate Professor (Georgia);

Murman Tsikubadze - Free Academy of Tbilisi, Assistant Professor (Georgia);

Anzhela Abuladze - Free Academy of Tbilisi, Head of Quality Management Service (Georgia);

Maia Vasadze - Free Academy of Tbilisi, School of Business Administration and Social Sciences, Deputy Dean (Georgia);

© All rights reseved “Free Academy of Tbilisi“ 2021

International Refereed Scientific Journal “ACADEMLAB“ is issued once a year. The journal involves the results of the researches and practical works of scientists and specialists from Georgia and other countries as well

The magazine was published “Barton“

შინაარსი

სალომე პირველი, მარიამ სიხარულიძე 8

გლობალური პოსტპანდემიური გამოწვევები

მარინე კობალავა, სოფიკო ალფაიძე, ნატა ლურსმანაშვილი 12

პანდემია, გლობალიზაცია და პიარი

ლევან სილაგაძე, თამარ ათანელიშვილი 16

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში თანამედროვე ეტაპზე (შედარებითი ანალიზი)

მაია ვასაძე 21

COVID-19 პანდემია, როგორც შესაძლებლობა მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წარმატებული მომავლის უზრუნველსაყოფად

თამარ დევიძე, გიორგი შოშიტაშვილი 27

კოვიდი და კოვიდთან თანაცხოვრება თანამედროვე მსოფლიოში

ემზარ კაკულია 32

პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და მისი დაძლევის გზები

მურმან ციქუბაძე 38

საქართველოს საგადასახადო სისტემის გამოწვევები პანდემიურ და პოსტ-პანდემიურ პერიოდში

მეგი მანდარია, ნანო გაგლოევა 44

COVID - პანდემია და ონლაინ სწავლება

ანუელა აბულაძე 49

კოვიდ - 19 პანდემიის გავლენა უმაღლეს განათლებაზე საქართველოში

მურმან ციქუბაძე, ანასტასია ქუბრიაშვილი 51

მომხმარებელთა უფლებები დისტანციური გაყიდვების პროცესში, პანდემიურ და პოსტ-პანდემიურ პერიოდში

ელიზბარ ელიზბარაშვილი 55

ქართული საზოგადოებრივი ცნობიერება და covid-საინფორმაციო ველი

Contents

SALOME PIRVELY, MARIAM SIKHARULIDZE 8
Global Postpandemic Challenges

MARINE KOBALAVA, SOPIKO ALPAIDZE, NATA LURSMANASHVILI 12
Pandemic, Globalization and PR

LEVAN SILAGADZE, TAMAR ATANELISHVILI 16
Foreign Direct Investment in the South Caucasus Countries at the Present Stage (comparative analysis)

MAIA VASADZE 21
COVID-19 Pandemic as Opportunity to Ensure a More Successful Future for Science and Public Health

TAMAR DEVIDZE, GIORGI SHOSHITASHVILI 27
Covid and Cohabitation with Covid in the Modern World

EMZAR KAKULIA 32
The Impact of the Pandemic on the Georgian Economy and Ways of their Overcoming

MURMAN TSIKUBADZE 38
Challenges of the Georgian Tax System in the Pandemic and Post-Pandemic Period

MAGGIE MANDARIA, NANO GAGLOEVA 44
COVID - Pandemic and Online Teaching

ANZHELA ABULADZE 49
covid - 19 Impact of Covid Pandemic On Higher Education In Georgia

MURMAN TSIKUBADZE, ANASTASIA KUBRIASHVILI 51
Consumer Rights in the Process of Remote Sales in Pandemic and Post-Pandemic Period

ELIZBAR ELIZBARASHVILI 55
Georgian public awareness and covid-information field

გლობალური პოსტპანდემიური გამოწვევები

სალომე პირველი[1], მარიამ სიხარულიძე[2]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, spirveli@freeacademy.edu.ge
[2]თბილისის თავისუფალი აკადემიის საზოგადობასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, msikharulidze@freeacademy.edu.ge

ანოტაცია

პოსტპანდემიური გამოწვევები და მათი ანალიზი ბოლო დროის ყველაზე აქტუალურ სადისკუსიო თემად იქცა. პანდემიამ დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა მსოფლიო, სრულიად დედამიწა. ეს გახდა რეალობა, რომელმაც მოიცვა სამყარო. ნებისმიერ სექტორს შეეხო ეს პრობლემა, შესაბამისად მისი ანალიზიცა და გააზრებაც უკიდურესად მნიშვნელოვანი გახდა. დღევანდელ დღეს მკვლევარების, ისტორიკოსების, ჟამთა აღმწერლების, პროფესორების დიდი არმია ცდილობს აღწეროს ეს მოვლენა, რომ მომავალში ეს ფაქტები ისტორიას შემორჩეს. პანდემია შეეხო განურჩევლად ყველას, მან განუზომლად დიდი ზიანი და ზარალი მიაყენა დედამიწის ბინადრებს, მისი განჭვრეტა და დროში დამორჩილება გახდა შეუძლებელი, მისი პროგნოზირება არარეალური, ხოლო დასასრულის მოლოდინი დაუსრულებელი.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, გლობალიზაცია, საგანმანათლებლო სივრცე, ბიზნესი, ბიზნეს სექტორი, რეალობა, პრობლემა, ადამიანი.

თუ დავიწყებთ თავიდან, მაშინ დავინახავთ, რომ სამყარო თავისი არსებობის მანძილზე არაერთ ასეთ აუხსნელ ვირუსულ თუ ეპიდემიურ პრობლემას იცნობს. უხსოვარი დროიდან სხვადასხვა დაავადება მძვინვარებდა სამყაროში, რასაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და ამ მოვლენების ანალიზიც უხვად გვაქვს წარსულ ფაილებში, თუმცა იქვე ჩანს, რომ საბოლოოდ ყველაფერი მაინც ლაგდებოდა და სამყარო აგრძელებდა ცხოვრების ჩვეულ რიტმს, ადამიანებიც მალევე ივიწყებდნენ წარსულს და მომავლის იმედით იწყებდნენ ცხოვრებას, სახელმწიფოებიც თავიდან აშენებდნენ ეკონომიკას, კრიზისების მართვასა და დალაგებას სწავლობდნენ. ნეგატიურ მოვლენებს საბოლოოდ მაინც პოზიტიური მოსდევს, უბედურ დღეებს ბედნიერი დღეები ანაცვლებს და მრავალი გასული წელი ამის კარგი მაგალითი შეიძლება იყოს. სწორედ ეს წარსული მაგალითები გვაძლევს იმედს, აჩენს პოზიტიურ ფიქრს, რომ დედამიწა და მისი ბინადრები ამ ვარდნასაც გაუძლებენ, 2022 წელი უკეთესი რეალობით დაიწყება და ეს გლობალური პანდემია ისტორია გახდება, რომელიც 21-ე საუკუნეში დარჩება და მომავალი საუკუნის მაცხოვრებლებს ისტორიადვე შემორჩება წარსული დროიდან.

გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო ქვეყნები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რაც თავის მხრივ დადებითი მაჩვენებელია და ბევრ პოზიტიურ მოვლენას უწყობს ხელს, თუმცა მეორეს მხრივ აღნიშული ფაქტი შეუძლებელს ხდის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში საფრთხის გავრცელების აცილებას და საბოლოოდ ეს მჭიდრო კავშირი აადვილებს ნებისმიერი პრობლემის „იმპორტს“ ქვეყნებთა შორის. სწორედ ასე მოხდა პანდემიის გავრცელებაც და ქვეყნების დიდი

ძალისხმევის მიუხედავად ვერ მოხერხდა მისი შეკავება და თავიდან აცილება, სწორედ ამავე პრინციპით მან საქართველოს საზღვრებიც ძალიან მარტივად გადმოლახა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გლობალური ეპიდემიები, ბუნებრივი კატაკლიზმები და მათი მართვა ძალიან რთულია. გამოწვევები რომლებიც ამ მოვლენების შედეგად იჩენს თავს არც თუ ისე მარტივი სამართავია და მას სისტემური ანალიზი და მმართველობა სჭირდება, რომ რაც შეიძლება მცირედი დანაკარგითა და ზარალით დააღწიოს სახელმწიფომ თავი უხილავ მტერს, რომელიც საშიშია და მისი „სვლის“ გამოცნობა შეუძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემია აქტიურ ფაზაშია და მისი დასასრული ჯერ არ არის პროგნოზირებული, შესაძლებელია განჭვრეტა პოსტპანდემიური პრობლემებისა, რადგან სახეზე ასეთი უამრავი მოცემულობა გვაქვს. დავიწყოთ მთავარი გამოწვევით და ეს განათლების სექტორია, რამეთუ განათლებაზე დგას ჩვენი მომავალი, თაობები, ადამიანები, რესურსები და ზოგადად განათლება არის უმთავრესი პრობლემა სამყაროს წინაშე. პანდემიამ რთული ვითარება შეუქმნა საგანმანათლებლო სივრცეს, რადგანაც მსოფლიო არ იყო მზად ციფრული განათლებისათვის, ასევე არ იყვნენ მზად ადამიანები ამ ციფრული ეპოქისათვის, თუმცა პრობლემა რეალური იყო და ფიქრისა და სამზადისის პერიოდი არ ჰქონდა კაცობრიობას. იყო მოცემულობა და ამ მოცემულობას დაძლევა სჭირდებოდა. მსოფლიო დადგა ფეხზე, შეიქმნა არაერთი ონლაინ პლატფორმა, შეიქმნა ვირტუალური სივრცეები, სადაც მოეწყო კლასები და კურსები, გაკვეთილები და ლექციები, სემინარები და ვებინარები, შეხვედრები და თათბირები. ეს გახდა სივრცე ყველასათვის და ყველა ამ სივრცისათვის. მობილიზდა ადამიანური რესურსი, რომელსაც უმძიმეს ვითარებაში მოუხდა ამ პროცესებში ჩართვა და მხარეებისათვის ციფრული სივრცეების გაცნობა. ეს იყო მნიშვნელოვანი გამოცდა, რომელიც ამ სფეროს და მის წარმომადგენლებს უნდა ჩაებარებინათ ისე, რომ არ დაზარალებულიყო ამ სფეროში ჩართული არც ერთი მხარე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტმა მოგვცა საშუალება ეს გამოწვევა ნაკლები ზარალით განგვეხორციელებინა, ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის მოსწავლეები გადასულიყვნენ კლასიდან კლასში, ხოლო უმაღლესი საფეხურის სტუდენტები გადასულიყვნენ კურსიდან კურსზე, ადამიანებს მიეცათ შესაძლებლობა ციფრული საშუალებების გამოყენებით დასწეოდნენ მოვლენებს და მცდელობა არ ჩამორჩენილიყვნენ რეალობას მეტნაკლებად შედგა. ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების უმეტესობა განიცდის ონლაინ აუდიტორიების და ადამიანური ურთიერთობების ნაკლებობას, რაც დიდი გამოწვევაა. სამომავლოდ, ეტაპობრივად შესაძლებელია საზოგადოებას ჰქონდეს სურვილი, საგანმანათლებლო სივრცე და მისი საბოლოო ლოკაცია გახდეს ციფრული სერვისები, თუმცა დღევანდელი რეალობით ეს არ არის შესაძლებელი, რამდენადაც პირისპირ შეხვედრებს, სწავლას, ლექციებს, გაკვეთილებს, სხვადასხვა ტრენინგებსა თუ შენეცნებით საქმიანობას არ აქვს ალტერნატივა.

კიდევ ერთი მთავარი გამოწვევა ბიზნესი და ბიზნეს სექტორია. ამ სივრცეში არსებული ადამიანები მნიშვნელოვან უკუსვლებს განიცდიან. იმატებს რისკები და მოკლევადიან პერსპექტივაში შეუძლებელი ხდება პრობლემების, როგორც იდენტიფიცირება, ასევე მათი გადაჭრა. პანდემიამ ნაკლოვანებები გამოამჟღავნა. აქაც, როგორც ნებისმიერ სფეროში, გახდა საჭირო ციფრული სერვისების გამოყენება, მათი დანერგვა და რეალობაში გადატანა. მსოფლიო ვეღარასდროს იქნება ისეთი როგორიც იყო, რადგანაც უხილავმა მტერმა მას დიდი ზიანი და გაკვეთილი ერთდროულად მოუტანა.

აზიის განვითარების ბანკის გავრცელებულ ანგარიშში[1] პანდემიის მოსალოდნელი შედეგების განვითარების სამი პოტენციური შემთხვევა არის განხილული. პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე განსხვავებულად აისახება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მის დამარცხებას. აზიის განვითარების ბანკის მიხედვით, პანდემია 77$ (0.08% მშპ) მილიარდიდან 347$ მილიარდამდე (0.4% მშპ) ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას.

გლობალური პოსტპანდემიური გამოწვევების პროგნოზი არც თუ ისე მარტივია, რადგან პრობლემა პროგრესირებს და მართვა რთულია, თუმცა სავარაუდოა, რომ გლობაიზაციის ტემპი მნიშვნელოვნად შენელდება. ყველა ახალი კრიზისი ახალ გამოწვევას აჩენს და, რა თქმა უნდა, შესაძლებლობასაც ამავდროულად. მნიშვნელოვანია ეს კრიზისი გარდავქმნათ შესაძლებლობად, ყველა გამოწვევას ვუპასუხოთ და ვიყოთ გამარჯვებულები და არა დამარცხებულები, რისი რესურსიც საქართველოს ნამდვილად გააჩნია. ქვეყნები, სადაც დემოკრატიულობის პროცენტი მაღალია, მეტად მიმზიდველნი გახდებიან და სწორედ აქ მიეცემა შანსი საქართველოს, როგორც ინვესტორებისთვის, ასევე საერთაშორისო დონორებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის;
2. The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia", Asian Development Bank, 2020;
3. ყიფიანი, ვ. COVID-19-ის მოკლე და გრძელვადიანი შედეგები: მსჯელობა „გაქცეულ" რეჟიმში, 2020;
4. https://socialjustice.org.ge/ka/products/ekonomikuri-politika-krizisis-dros-interviuebi-ekonomikis-mkvlevrebtan;
5. https://forbes.ge/coronaekonomika/;
6. https://www.forbeswoman.ge/post/ormotsadze.

Global Postpandemic Challenges

Salome Pirvely[1], Mariam Sikharulidze[2]

[1]Free Academy of Tbilisi Rector, Doctor of law Sciences, spirveli@freeacademy.edu.ge
[2]Free Academy of Tbilisi Head of Public Relations, msikharulidze@freeacademy.edu.ge

Abstract

Post-pandemic challenges and their analysis have become the most topical issue of discussion recently. The pandemic has posed great challenges to the entire world, the whole universe. It has become a reality that has comprised the world. This problem has affected every sector and consequently its analysis and understanding has become extremely important. Today, a large army of scholars, historians, chroniclers, professors are trying to describe this phenomenon so that history can preserve these facts for the future. The pandemic affected everyone without distinction, it caused immeasurable damage to the inhabitants of the earth. It became impossible to foresee and subordinate it in time. Its prediction is unrealistic, and the expectation of the end is infinite.

Keywords: pandemic, globalization, educational space, business, business sector, reality, problem, human being.

პანდემია, გლობალიზაცია და პიარი

მარინე კობალავა[1], სოფიკო ალფაიძე[2], ნატა ლურსმანაშვილი[3]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ვიცე რექტორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, mkobalava@freeacademy.edu.ge
[2]თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, salpaidze@freeacademy.edu.ge
[3]თბილისის თავისუფალი აკადემიის სტუდენტი, lursmanashvili@freeacademy.edu.ge

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია კორონავირუსის პანდემიის დროს გამოწვეული მოვლენების ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრისა და საზოგადოების ცნობიერის მართვის შესაძლებლობებზე. ასევე, შეფასებულია ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების ვალიდურობა და დისტანციურად მუშაობის მეთოდებზე გადასვლის პირობებში ელექტრონული პიარის როლი და მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: COVID-19 პანდემია, გლობალიზაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ელექტრონული პიარი, საზოგადოებრივი აზრის ბაზარი, საზოგადოების ცნობიერება, კრიზისული მართვა, ტურბულენტური გარემო, კონვერგენცია, ინკორპორორება.

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული ნეგატიური შედეგები არა მარტო ეკონომიკაში, არამედ გლობალური მასშტაბით და აქვე განისაზღვროს თუ რამდენად ეფექტურია საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი კრიზისული მართვის სისტემაში. ასევე, რელევანტურია აღინიშნოს გლობალიზაციის კონვერგენციული როლის შესახებ, სადაც ერთის მხრივ გლობალიზაციის ისტორიულმა პროცესებმა მსოფლიო გარდაქმნა ერთიან სისტემად და ხელი შეუწყო მსოფლიოს ქვეყნების გაერთიანების პროცესს, რომელიც ინკორპორირებულია ერთიანი სამართლებრივი, ეკონომიკური, საინფორმაციო სივრცის შექმნის პროცესებთან, ხოლო მეორეს მხრივ, გლობალიზაციამ სამყაროს ერთიანი სისტემატიზირებული მიდგომით მიმდინარე ღრმა კრიზისული მართვის მდგომარეობიდან გამოყვანის შესაძლებლობები და ინტეგრირებული პერსპექტივები შესთავაზა. მზარდ გლობალიზებულ სივრცეში საზოგადოებასთან ურთიერთობას ანუ PR-ს შეუძლია უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია ტურბულენტურ გარემო ფაქტორებთან. "გარემოში არსებული ბუნებრივი კატაკლიზმები, საფრთხეები და კატასტროფები იწვევს კომპანიის კრიზისს, რაც აზიანებს მის რეპუტაციას".

კორონავირუსით გამოწვეულმა მოვლენებმა განაპირობა, როგორც საზოგადოების, ისე ბიზნესის მხრიდან ელექტრონულ საკომუნიკაციო საშუალებებზე მოთხოვნის მყისიერი ზრდა. Covid-19-ის პანდემიის პირობებში უპირობოდ განხორციელდა დისტანციურად მუშაობის მეთოდებზე გადასვლა. ამავდროულად, ელექტრონული პიარის შესაძლებლობებმა უახლეს მასშტაბებს მიაღწია. ელექტრონული პიარი ახალ მრავალფუნქციურ საშუალებებს სთავაზობს ფართო საზოგადოებას. რელევანტურია, პოზიცია რომ საზოგადოების ცნობიერების ნაკადის ამაღლება ელექტრონული პიარის საშუალებების მიმართ უნდა იყოს პოზიტიური და შესაძლებელია

ვთქვათ, რომ ამისათვის ნიადაგი კორონავირუსის პანდემიამ მეტ-ნაკლებად მოამზადა.
მნიშვნელოვანია განიჭვრიტოს კორონავირუსის პანდემიის გავრცელების პრევენციის დროს მოსახლეობის ინფორმირების პროცესი, მასშტაბები და შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ მოიაზრებს არსებული ინფორმაციისა და წყაროების გენერირებას, მოსალოდნელ ტენდენციებზე ანტიკრიზისული მართვის შესაძლებლობების გამოკვეთას, კრიზისების მართვას შესაბამისი საშუალებებით: შეკითხვებზე პასუხის გაცემით, მყისიერი რეაქციებით, უბედურ შემთხვევებზე გამოხმაურებით, სატელევიზიო ღია ეთერებითა და სხვადასხვა ჩართულობით. სწორი იყო გადაწყვეტილება, როცა კორონავირუსთან ბრძოლის თითოეულ ეტაპზე დაწესებული შეზღუდვებისა და დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ საზოგადოებას წინასწარ წარედგინებოდა ინფორმაცია (ა.მ. შეიქმნა სპეციალური საინფორმაციო ვებგვერდი - www.StopCov.ge, სადაც განთავსდა კორონავირუსთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და ჯანმო-ს რეკომენდაციები; ასევე ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზის 24/7 ჩართულობა და სხვა). აგრეთვე, Covid-19-ის პანდემიის პირობებში მნიშვნელოვანი იყო ხშირად დასმულ კითხვებზე დეტალური პასუხების გაცემით საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის ერთ-ერთ საშუალებად გამოყენება, რაც საზოგადოების ინფორმირებულობას უწყობდა ხელს. მუდმივ რეჟიმში ხდებოდა და ხდება საერთაშორისო მტკიცებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო/საინფორმაციო მასალების (მათ შორის, ვიდეორგოლები) შექმნა და ფართო საზოგადოებაში გავრცელება. ამასთან, აღნიშნული მასალები ითარგმნება აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და უზრუნველყოფილია მათი სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით გავრცელება. ასევე, უწყვეტ რეჟიმში მზადდება ვიზუალური მასალა, საგანმანათლებლო პოსტები, ინფოგრაფიკები, ვიდეომასალები, რომლებიც ვრცელდება სოციალური ქსელით. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი კი საზოგადოებასთან ურთიერთობის კონკრეტულ შემთხვევებს წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფოს მხრიდან ინტეგრირებული კამპანიის ნაწილია.
მნიშვნელოვანია Covid-19-ის პანდემიის თემის ინტერნეტ მედიით წარმოჩენა, მასმედიით ვებ-კონფერენციების ჩატარება, მწვავე და თემატური საკითხების ვებ-კონფერენციებზე განხილვა, რაც შექმნიდა კამპანიის პიარ-ფონს (background), ხოლო ბეგრაუნდის მართვა სახელმწიფო სტრუქტურების ქმედების არეს წარმოადგენს. ვინაიდან ელექტრონული პიარი გახდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ძლიერი ინსტრუმენტი, მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია დროულად მიეწოდოს საზოგადოების ფართო ფენებს, რათა მასების ინფორმირებულობა შოკური მდგომარეობის მომცველი არ გახდეს მოცემულ გარემოში.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ელექტრონული პიარის განხორციელება ვალიდურია ფართო საზოგადოებასთან მასობრივი კომუნიკაციის სისტემური მართვით. ანუ, საზოგადოებასთან ურთიერთობა რაც უფრო ღია და გამჭვირვალე პროცესია ინფორმაციის გასაჯაროების თვალსაზრისით, მით მეტად ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს მიიღებენ მოქალაქეები. ასევე, გაიზრდება ნდობა კრიზისულ ვითარებაში მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. გარდა ამისა, მკვლევარებს, დარგის სპეციალისტებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს გაუმარტივდებათ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე წვდომა. პიარი შესაძლებელს ხდის საზოგადოების ინფორმირებულობას, ხოლო გლობალურ ციფრულ ეპოქაში, სადაც ინტერნეტის მასშტაბები შეუზღუდავია, პიარით მართვა მარტივია, მაგრამ ამავდროულად არაკონტროლირებადი. ასე რომ, უმნიშვნელოვანესია სოციალური ქსელების, როგორც კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების როლის გამოყოფა საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის სისტემაში, რომელსაც გააჩნია მთელი რიგი უპირატესობა სხვა

მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებთან შედარებით და მოიცავს სოციალურ ქსელში საზოგადოებასთან ურთიერთობის შემდგომი განვითარების დიდ პოტენციალს.
და ბოლოს, უნდა შევეხოთ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ მედია ურთიერთობებს (Mediarelations), სადაც ჟურნალისტების უპირველეს ამოცანად უნდა განისაზღვროს მასობრივი საშუალებებით ახალი ამბებისა და უახლესი ინფორმაციის მოპოვება და მასებისათვის მისი მიწოდების რეალური საშუალებების განსაზღვრა. მედია ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით უნდა იძლეოდეს საჭირო ინფორმაციას საზოგადოების ფართო ფენებისათვის. საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის საშუალებებიდან მასმედიაში ჟურნალისტების უპირველეს საქმიანობად უნდა იქცეს ფართო საზოგადოების უზრუნველყოფა უახლესი ინფორმაციით, რადგან „საკომუნიკაციო საქმიანობა თვითმიზანია, ეს თავიც არის და ბოლოც“.
ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ელექტრონული პიარი მოცემულ ეტაპზე ანტიკრიზისული მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და სწრაფ კომპონენტს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის საჯაროდ მიწოდება შესაბამისი მიზნობრივი აუდიტორიისათვის. საზოგადოებრივ ჯგუფებში ინფორმაციის საზოგადოების ცნობიერებამდე მიტანა მკაფიოდ კონკრეტული და რელევანტური უნდა იყოს. ვალიდურია ინფორმაციის რელიზებით, პრეს-რელიზებით იმპროვიზირება, რაც აღქმას უადვილებს საზოგადოებრივ ჯგუფებს და მასში ჩართულობა და თანამედროვე ეტაპზე ემპათიური დამოკიდებულება ყველას ვალია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kozak, Y., Shengelia, T., Kobalava, M., etc, Economy of Foreign Countries. Tbilisi, 2019;
2. Kobalava, M. Dealing with Crisis by Well-Planned PR;
3. Kobalava, M. Public Relations, monograph, Tbilisi, 2018;
4. averbaum, E. Blai, R. Benun, I. PR for Dummies. Tbilisi, Palitra L, 2018;
5. Kobalava, M. Public Relations and Globalization – Globalization Challenges in Economics and Business (International Science Conference, Tbilisi State University), Tbilisi, Universal, 2017;
6. Kobalava, M. Consumer Market of Agricultural Products and Agricultural Policy in Georgia International Scholarly and Scientific Researches & Innovation, Barcelona, Spain, Oct 30-31, 2017, 19 (10) Part XXI;
7. Kobalava, M. Crisis PR - Globalization Challenges in Economics and Business (International Science Conference, Tbilisi State University), Tbilisi, Universal, 2016;
8. Kobalava, M. Analytical PR (International Scientific Conference) Tbilisi, 2016;
9. უილკოქსი, დ.ლ., კამერონი, გლენ.ტ. საზოგადოებასთან ურთიერთობა; სტრატეგია და ტაქტიკა. პირველი გამოცემა; თბილისი, დიოგენე, 2011; გვ. 17
10. Public relations; Free Academy of Tbilisi, Series of “ Leader of Future “ N 1 (6).

Pandemic, globalization and PR

Marine Kobalava[1], Sopiko Alpaidze[2], Nata Lursmanashvili[3]

[1]Free Academy of Tbilisi Vice rector Academic Doctor of Economics, mkobalava@freeacademy.edu.ge
[2]Free Academy of Tbilisi Bachelor of Business Administration, s.alpaidze@freeacademy.edu.ge
[3]Free Academy of Tbilisi Student, nlursmanashvili@freeacademy.edu.ge

Abstract

The article analyzes the impact of events caused by the coronavirus pandemic on public opinion and capabilities of public awareness management. At the same time, the validity of the use of electronic means of communication and the role and importance of electronic PR in the conditions of switching to remote working methods are evaluated.

Keywords: COVID - 19 Pandemic, Globalization, Public Relations, Electronic PR, Public Opinion Market, Public Awareness, Crisis Management, Turbulent Environment, Convergence, Incorporation.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში თანამედროვე ეტაპზე (შედარებითი ანალიზი)

ლევან სილაგაძე[1], თამარ ათანელიშვილი[2]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, silagadzelevan@yahoo.com
[2]ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, tamar.atanelishvili@tsu.ge

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია მიმდინარე კოვიდ-19 პანდემიის ფონზე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) არსებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ნაკადების შედარებითი ტენდენციების გამოკვლევა. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით: მსოფლიო ეკონომიკაში არსებული მძიმე კრიზისული მდგომარეობის გამო, 2020 წელს დაფიქსირდა მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ; GDP) მოცულობის თითქმის 3 ტრილიონი აშშ დოლარით შემცირება (წინა წელთან შედარებით); მკვეთრად შემცირდა ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობა - მსოფლიოში - 39.4%-ით, განვითარებულ ეკონომიკებში 65.5%-ით, მათ შორის ევროკავშირში - 79.7%-ით, განვითარებად ეკონომიკებში - 71.1%-ით, გარდამავალ ეკონომიკებში კი 75.8%-ით; მთლიან სამამულო პროდუქტში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი (%) სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ყველაზე მაღალი აღმოჩნდა 2007 წელს, ბოლო პერიოდში კი უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვს საქართველოს. უცხოური ინვესტიციების გარეშე გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკები სწრაფ პროგრესს ვერ მიაღწევენ, თუმცა ასეთ ინვესტიციებს, განვითარებასთან ერთად, შესაბამისი ქონების დასაკუთრება, მიმღები ქვეყნებიდან კაპიტალის გადინებაც მოყვება და ამდენად, მათ მოზიდვაშიც ზომიერებაა საჭირო; მძიმე პანდემიურმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ მკვეთრად გაზარდა უმუშევრობა, ინფლაცია, მოსახლეობის სიღარიბის და სხვ. ნეგატიური მაჩვენებლები. ეკონომიკა თითქმის მთლიანად აღმოჩნდა პანდემიის მარწუხებში, რამაც მოითხოვა სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მკვეთრად გაძლიერება; სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მეტი შემცირება დაფიქსირდა აზერბაიჯანში, რაც სათბობ-ენერგეტიკული ნედლეულის მოპოვება-დამუშავებაზე ნეგატიურად აისახა; საქართველოში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრად შემცირების შემდეგ, 2021 წლის II კვარტალში (წინა კვარტალთან შედარებით), ეს მაჩვენებელი უფრო მეტად გაიზარდა სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში, დამამუშავებელ მრეწველობაში და ენერგეტიკაში, მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში ყველაზე მაღალი წილით (%) წარმოდგენილია ფინანსური სექტორი (35.0%), ენერგეტიკა (27.8%) და დამამუშავებელი მრეწველობა (19.9%).

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI), მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP), საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი.

მიმდინარე კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, მძიმე კრიზისში აღმოჩნდა მსოფლიო ეკონომიკაც. მსოფლიო ეკონომიკის მოცულობა (ჯამური GDP) 2020 წელს, თითქმის 3 ტრილიონი აშშ დოლარით შემცირდა (2019 წელთან შედარებით https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD 14.09.2021).

ამავე პერიოდში, როგორც მოსალოდნელი იყო მკვეთრად შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) მოცულობაც: მსოფლიოში - 39.4%-ით; განვითარებულ ეკონომიკებში 65.5%-

ით, მათ შორის ევროკავშირში - 79.7%-ით; განვითარებად ეკონომიკებში - 71.1%-ით, გარდამავალ ეკონომიკებში კი 75.8%-ით(https://unctad.org/system/files/official-document/wir2021_en.pdf გვ.248-251. 14.09.2021).

გარდამავალ ეკონომიკებში შედის ასევე სამხრეთ კავკასიის ქვეყნები საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. (ნახაზი 1).

ნახაზი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2019-2020 წწ., აშშ დოლარი



შედგენილი: https://unctad.org/system/files/official-document/wir2021_en.pdf გვ.269 14.09.2021.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შედინებით ლიდერი ქვეყანა აზერბაიჯანი ყველაზე მეტად დაზარალდა და წინა წლის მაჩვენებლის მხოლოდ 34 %-ს მიაღწია. (ნახაზი 2).

ნახაზი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში, 2020 წ. (2019 წელი =100)



შედგენილი: https://unctad.org/system/files/official-document/wir2021_en.pdf გვ.251 14.09.2021.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოში, 2021 წლის II კვარტალში (წინა კვარტალთან შედარებით) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უფრო მეტად გაიზარდა: სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში, დამამუშავებელ მრეწველობაში და ენერგეტიკაში. ამასთან, ამავე პერიოდში ქვეყნის მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%-ად) ყველაზე მაღალი წილითა წარმოდგენილი: ფინანსური სექტორი (35.0%), ენერგეტიკა (27.8%), დამამუშავებელი მრეწველობა (19.9%), უძრავი ქონება (6.2%) და სხვ. (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi):

ცხრილი 1. საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი (%) მთლიან სამამულო პროდუქტში



https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS?end=2019&locations=GE-AZ-AM&start=2007 24.09.2021.

ამრიგად, როგორც ირკვევა: მთლიან სამამულო პროდუქტში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი (%) სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ყველაზე მაღალი იყო 2007 წელს, ბოლო პერიოდში კი შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვს საქართველოს. აშკარაა, რომ უცხოური ინვესტიციების გარეშე გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკები სწრაფ პროგრესს ვერ მიაღწევენ, თუმცა ასეთ ინვესტიციებს განვითარებასთან ერთად შესაბამისი ქონების დასაკუთრება და ქვეყნებიდან კაპიტალის გადინებაც მოყვება და ამდენად, მათ მოზიდვაშიც ზომიერებაა საჭირო; მძიმე პანდემიურმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ მკვეთრად გაზარდა უმუშევრობა, ინფლაცია, მოსახლეობის სიღარიბის და სხვ. ნეგატიური მაჩვენებლები. ეკონომიკა თითქმის მთლიანად აღმოჩნდა პანდემიის მარწუხებში, რამაც მოითხოვა სახელმწიფოს როლის მკვეთრად გაძლიერება; მთლიანობაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მკვეთრად შემცირდა მსოფლიოში, მათ შორის განვითარებულ, განვითარებად, გარდამავალ ეკონომიკებში; სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის პუი-ს ყველაზე მეტ შემცირება დაფიქსირდა აზერბაიჯანში, რაც ნავთობპროდუქტების დამუშავებაზე უცხოური ინვესტიციების დიდი დამოკიდებულების გამო მოხდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gaganidze, G. (2018).Foreign Trade of Georgia,Moldova and the Ukraine with the European UNION After the Association Agreement.Ecoforum Journal. Vol. 7, Issue 1(14). 74.
2. Gvelesiani, R., Gogorishvili, I. (2014). The Basis Problems for the Realization of the Concept of Economic Policy. In-

ternational Journal of Economics and Management Engineering Vol:8, No:11, pp.3729-3732.
3. Godwin Okafor and Allan Webster (2015). Foreign Direct Investment in Transition Economies of Europe and the Former Soviet Union. Springer.
4. Golubova, I. (2001). Foreign Investment Decision-Making in Transition Economies. School of Business Stockholm University. 294 p.
5. Zubiashvili, T., Atanelishvili, T. (2019). Some Aspects of the Georgia-CIS Trade Relations. Ecoforum Journal, Vol 8, No 2. 2019.
6. Papava,V., Charaia, V. (2020). The coronomic crisis and some challenges for the Georgian economy. 2020/136. Expert Opinion.(13 p.). https://www.researchgate.net/profile/Vladimer.Papava/publication/. 24.09.2021.
7. Sharpe,W.F., Alexander, G.J.(2001).Fundamentals of Investments, 3/E.N.Y: PrenticeHall,781p.
8. Silagadze, L.(2018). FDI in the new associate member states (Comparative Analysis). Ecoforum Journal, Vol. 7, Issue 1(14), 2018.
9. http://ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/viewFile/773/480] 24.09.2021.
10. Silagadze, L. (2018). FDI INFLOW IN 1997-2016 YEARS IN GEORGIA, UKRAINE AND MOLDOVA (COMPARABLE ANALYSIS). INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL „GLOBALIZATION AND BUSINESS“. No 5, PP. 143-147
11. Silagadze, L. (2017). FDI inflows in Armenia, Azernaijan and Georgia (Comparable analysis) - MODERN CHALLENGES, CURRENT SCIENTIFIC PROBLEMS AND EU INTEGRATION. Tbilisi Teaching University 2017. Tbilisi, pp.47-49.
12. Silagadze, L.(2017). Foreign Direct Investments in the Post-Soviet Period: The Case of Georgia. _ Ecoforum, 6/ 2017.
13. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi 14.09.2021.
14. https://unctad.org/system/files/official-document/wir2021_en.pdf 14.09.2021.
15. https://unctad.org/system/files/official-document/wir2021_en.pdf 14.09.2021

Foreign direct investment in the South Caucasus at the present stage (comparative analysis)

Levan Silagadze[1], Tamar Atanelishvili[2]

[1]Free Academy of Tbilisi Assistant Professor Academic Doctor of Economics, silagadzelevan@yahoo.com

[2]Ivane Javakhishvili Tbilisi State University Associate Professor Academic Doctor of Economics, tamar.atanelishvili@tsu.ge

Abstract

The aim of this paper is to investigate the comparative trends in foreign direct investment (FDI) flows in the South Caucasus countries (Georgia, Azerbaijan, Armenia) against the background of the current Covid-19 pandemic. According to the conclusion of the study: Due to the severe crisis in the world economy, in 2020 the world gross domestic product (GDP) decreased by almost 3 trilli

on US dollars (compared to the previous year); The volume of foreign direct investment (FDI) also decreased sharply - in the world - by 39.4%, in developed economies by 65.5%, including in the EU - by 79.7%, in developing economies - by 71.1%, and in transition economies by 75.8%; The share (%) of foreign direct investment in GDP in the South Caucasus countries was the highest in 2007, and recently Georgia has the higher rates. Without foreign investment, the economies of the transition countries won't be able to make rapid progress, although such investments, along with development, such type of investments

are followed by the acquisition of relevant property, capital outflows from the recipient countries, and thus moderation in their attraction is also needed; Severe pandemic economic conditions have dramatically increased unemployment, inflation, population poverty, and etc. Negative indicators; The economy found itself almost entirely in the grip of a pandemic, which required a sharp strengthening of the state's regulatory role; Among the countries of the South Caucasus, the largest decrease in foreign direct investment was observed in Azerbaijan, which had a negative impact on the extraction and processing of fuel and energy raw materials; In Georgia, after a sharp decline in foreign direct investment, in the second quarter of 2021 (compared to the previous quarter), this figure increased more in agriculture and fisheries, in manufacturing and energy sector, in the foreign direct investment financial sector has the highest share (35.0%), energy (27.8%) and manufacturing (19.9%).

COVID-19 პანდემია, როგორც შესაძლებლობა მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წარმატებული მომავლის უზრუნველსაყოფად

ქ. მ. ვენქატ ნარაიანი[1], ჯეიმს უ. ქურანი[2], უილიამ ჰ. ფოუგი[3], როლინსის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და მედიცინის სკოლა[4], ემორის უნივერსიტეტი, ატლანტა, აშშ[5], მაია ვასაძე[6]

[1]მედიცინის დოქტორი
[2]მედიცინის დოქტორი
[3]საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
[6]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასისტენტ პროფესორი, მთარგმნელი,
maia.vasadze@freeacademy.edu.ge

ანოტაცია

ამ სტატიაში გამოთქმული იდეები და მოსაზრებები ჩამოყალიბდა ემორის უნივერსიტეტში, მეცნიერებათა, მედიცინისა და ინჟინერიის ეროვნული აკადემიების (NASEM) წევრებს შორის რიგი ორიენტირებული შეხვედრების შედეგად. თანამედროვე მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების მიუხედავად, COVID-19 პანდემიაზე რეაგირებამ აშკარად გამოავლინა დაუცველობა საზოგადოებაში და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებების ნაკლოვანებები მთელ მსოფლიოში. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებისა და სააგენტოებისათვის პანდემია გახდა გამოწვევა, რომელთან გამკლავებისთვის უმნიშვნელოვანესია გამოვლენილი ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და სტრატეგიების შემუშავება პანდემიის მიღმა უკეთესი და უფრო დაცული მომავლისთვის.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, გამოწვევები, შესაძლებლობები, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, მეცნიერება, სამეცნიერო დამოუკიდებლობა, კომუნიკაცია, გლობალური თანამშრომლობა.

კაცობრიობას იმედი ჰქონდა, რომ 21-ე საუკუნის მოსვლასთან ერთად, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უზარმაზარი პოტენციალი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების გარანტიად მოგვევლინებოდა. უფრო მეტიც, ეს მძლავრი პოტენციალი აამოძრავებდა სწრაფად ცვალებად და ურთიერთდაკავშირებულ სამყაროს, სადაც საზოგადოებები და ერები მთელ მსოფლიოში გაიზიარებდნენ საყოველთაო სარგებელს (ეკონომიკური განვითარება, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა) და წარმატებით გაუმკლავდებოდნენ საერთო რისკებს (პანდემიები, ქრონიკული არაგადამდები დაავადებები, გარემოს დაზიანება, ბირთვული იარაღი, კლიმატის ცვლილება). ამ კონტექსტში ეფექტური მმართველობა და კომუნიკაციები ქვაკუთხედი უნდა იყოს საზოგადოების ჯანმრთელობის გასაძლიერებლად მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მიმართ არსებული მოლოდინების გამართლების უზრუნველსაყოფად.

თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, მსოფლიოს ერთ-ერთ მეცნიერული და ტექნოლოგიური ძალების ცენტრ ქვეყანაში, კორონავირუსული დაავადების პანდემიის მიმართ განხორციელებულმა ქმედებებმა არ გაამართლა ეს იმედები და მოლოდინები. უფრო მეტიც, პანდემიამ გამოავლინა არსებითი ხარვეზები იმ ინსტიტუციონალურ სისტემებში, რომლებიც მიზნად ისახავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დაცვას და გამოყენებას სწორედ პირადი

და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობის საქმეში. ამრიგად, პანდემია გახდა მკაფიო გამოწვევა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მხარდამჭერი სისტემების გააზრებული გამოკვლევის, განმტკიცებისა და მოდერნიზაციისათვის. ისტორიამ ცხადყო, რომ ისეთი კრიზისები, როგორიცაა ომები, სტიქიური უბედურებები და პანდემიები, შეიძლება გახდეს გადამწყვეტი მომენტი პროაქტიული ერთობლივი ქმედებებისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა გააზრებამ და გაკვეთილებმა გამოიწვია იმ დროისათვის პროგრესული ინსტიტუტების შექმნა, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) და დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურები. დღეს არსებული მდგომარეობა შესაძლებლობას გვაძლევს ვიფიქროთ და წარმოვიდგინოთ უკეთეს სამყაროზე COVID-19-ის პანდემიის ტრაგედიის მიღმა.

უზარმაზარი მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების მიუხედავად, პანდემიაზე რეაგირებამ გამოავლინა დაუცველობა საზოგადოებაში და ნაკლოვანებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებების სამეცნიერო დამოუკიდებლობაში. ინტენსიურად ხორციელდებოდა თავდასხმები მეცნიერებისა და ექსპერტების მოსაზრებებზე, ხდებოდა საჯარო უწყებებში პარტიული პოლიტიკის შეჭრა, განსაკუთრებით დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებში, არ არსებობდა ეროვნული კოორდინაცია. ეს საპატიო და სანდო საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებები გახდა პირდაპირი და სახიფათო პოლიტიკური ჩარევის სამიზნე, რაც ხშირად ახდენდა როგორც მეცნიერების, ისე ამ დაწესებულებების სამეცნიერო მიღწევებისა და დამოუკიდებლობის დისკრედიტაციას.

დამატებით პრობლემას წარმოადგენდა დეზინფორმაციის გავრცელება სოციალურ მედიაში, რამაც ასევე შეარყია საზოგადოების ნდობა მეცნიერებისა და ჯანდაცვის სფეროს კომუნიკაციისადმი. შემაშფოთებელია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მოწყვლადი აღმოჩნდა ამ მცდარი ინფორმაციის მიმართ. შესაძლო საფრთხის შესახებ მუდმივად ისმოდა გაფრთხილებები, რადგან აშშ-მ და სხვა ქვეყნებმა შექმნეს მეცნიერებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წესრიგი, თუმცა მოსახლეობის ფართო მეცნიერული განათლება იგნორირებული იყო და არის დღესაც.

შესაბამისი ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობის გასაუმჯობესებლად საჭიროა საზოგადოებაში მეცნიერებისა და მეცნიერული მეთოდების ცოდნისა და გაცნობიერების გაძლიერება. მეცნიერებისადმი საზოგადოების ნდობას და სანდო წყაროებიდან ეფექტურ კომუნიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებების პრევენციის მიზნით განხორციელებულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საქმიანობაში. უფრო მყისიერი ზომების მიღებაა საჭირო საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებების მეცნიერული დამოუკიდებლობისა და ხმის დასაცავად. აღნიშნული საკითხის სამეცნიერო სფეროში და საზოგადოების ფართო ფენებში სიღრმისეულად გაცნობიერების ხელშეწყობის მიზნით, ქვემოთ მოცემულია კითხვები (და ზოგიერთი რეკომენდაცია), რომლებიც საჭიროებენ გააზრებულ და გულდასმით განხილვას. ამასთან, მნიშვნელოვანია პრიორიტეტების განსაზღვრა და ასევე იმის აღიარება, რომ ამ კითხვებზე ეფექტური მიდგომები შეიძლება მარტივი არ იყოს.

- მეცნიერებას გადამწყვეტი როლი აკისრია 21-ე საუკუნეში, მაგრამ აუცილებელია, ის

რაც მეცნიერებისაგან ისწავლება, გაიგოს და პატივი სცეს ფართო საზოგადოებამ, იმის აღიარებით, რომ არ არსებობს საკითხის უნივერსალური და ერთიანი გადაწყვეტილება. როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი კომუნიკაცია ისე, რომ მეცნიერების მიერ მხარდაჭერილი აქტივობები ოპტიმალურად და ეფექტურად განხორციელდეს? როგორ შეიძლება განათლების გაუმჯობესება, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოების მიერ მეცნიერებისა და მეცნიერული პრინციპების უფრო ღრმა გაგებასა და ცოდნის გაღრმავებას მეცნიერებისადმი საზოგადოების ნდობის გასაზრდელად?

- მეცნიერება მიზანმიმართულად განმეორებითი პროცესია და შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს საუკეთესო სამეცნიერო კვლევებშიც კი. მაგრამ არსებობს მეცნიერების ვალიდურობის მხარდამჭერი პროცესები, როგორიცაა კვლევების თანმხლები მიმოხილვები და ექსპერტთა კომიტეტების რეკომენდაციები სიზუსტის დასადგენად და შესაბამისი ინტერპრეტირებისთვის. კვლევები, რომლებიც არაა მხარდაჭერილი მეცნიერ-ექსპერტების მიერ, სადაც არ არის განსაზღვრული შინაარსი ან მეთოდოლოგიურ სისუსტეები, არ განიხილება სამეცნიერო სფეროს მიერ. რიგ საკითხებში შეიძლება არსებობდეს ბუნდოვანება და მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება აანალიზებდეს, რომ ცოდნა მუდმივად იცვლება და ახალი კითხვები ყოველთვის შეიძლება გაჩნდეს.
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანესია საზოგადოების კეთილდღეობისთვის და საჭიროებს დაცვას პარტიული პოლიტიკის ინტერვენციებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუციების მრავალი ასპექტი გარდაუვლად პოლიტიკური ხასიათისაა, მისი წარმატება დამოკიდებულია ფართო არაპარტიულ მხარდაჭერასა და ვალდებულებებზე. დაფინანსების ნაკადებისა და მმართველობითი სტრუქტურის რომელი მოდელი შეიძლება დაეხმაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუტების იზოლირებას პოლიტიკური ჩარევისაგან და მისცეს მათ მონაცემებისა და მეცნიერული მიღწევების გენერირებისა და გავრცელების საშუალება, რათა მაქსიმალურად ემსახურონ საზოგადოებას, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო სიტუაციების პროგნოზირებასა და მათზე რეაგირებას?
- მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხარისხისა და ინტეგრირების დაცვა მოითხოვს შესაბამის დამოუკიდებელ ეროვნულ ინსტიტუტებს და მმართველობის მოდელებს თანამედროვე გამოწვევების დასაძლევად. ასეთ მოდელს შეეძლება შექმნას ზედამხედველობის ორგანო, როგორიცაა დამოუკიდებელი საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც შევლენ მეცნიერები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტები, ბიზნეს ლიდერები, აკადემიური ლიდერები, სამოქალაქო ორგანოების წარმომადგენლები და საზოგადოების წევრები.
- სამეცნიერო ორგანიზაციები უნდა იყოს თავისუფალი და შეუზღუდავი, რათა გააცნონ საზოგადოებას მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ სრული ინფორმაცია. სამეცნიერო ცენტრების ხელმძღვანელებმა და უფროსმა მეცნიერებმა უნდა მიაწოდონ საზოგადოებას მეცნიერული ინფორმაცია და მონაცემები ცენზურის გარეშე და შეეძლოთ მედიასთან ფაქტების განხილვა შეზღუდვების გარეშე. სამეცნიერო პუბლიკაციებმა უნდა შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა, ჰქონდეთ საკუთარი სარედაქციო საბჭო და არ დაექვემდებარონ პოლიტიკურ კონტროლს. რა მექანიზმებს შეუძლია ამ ფუნქციების დაცვა? შეუძლიათ თუ არა გამართულად მომუშავე მექანიზმებს, როგორიცაა გადამოწმებული ინფორმაციის გამავრცელებლების დაცვა, უზრუნველყონ

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სააგენტოები, ემსახურონ ხალხს, გაახმოვანონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები და შეაფერხონ პოლიტიკის ხელისშემშლელი გავლენა?

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემა, ორიენტირებული პრევენციაზე და პროაქტიულ ღონისძიებებზე, საუკეთესოდ იქნება აღჭურვილი პანდემიასთან გასამკლავებლად და ჯანმრთელობის სხვა მიმდინარე გამოწვევებზე რეაგირებისთვის. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუციების იმიჯი, რომლებიც ბოლო დრომდე აღიარებული იყვნენ როგორც მსოფლიო ლიდერები, შეარყია მზაობის ნაკლებობამ, არასწორმა კომუნიკაციამ, პოლიტიკურმა ინტერვენციებმა, არათანმიმდევრულმა და წინააღმდეგობრივმა გზავნილებმა და პანდემიის ან ჩვეულებრივ დროს ჯანდაცვის პოლიტიკის მოთხოვნების გასამკლავებლად არასაკმარისი რესურსების ქონამ.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მრავალმხრივი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად უმთავრესია უფრო დიდი საერთაშორისო ჩართულობა. ეს ნიშნავს მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ურთიერთდაკავშირის გაზრდას საერთაშორისო ეკონომიკასთან და პოლიტიკასთან. ნაციონალისტური შეხედულებები და მიდგომები ზიანს აყენებს შეერთებული შტატებისა და სხვა ერების შესაძლებლობას ეფექტურად მოახდინონ კოორდინაცია პანდემიებზე რეაგირების საქმეში და ხელი შეუწყონ ჯანმრთელობის გაძლიერებას. სხვა ქვეყნების დახმარება გადამდები დაავადებების თავიდან აცილებისა და კონტროლის მიმართულებით და ჯანმრთელობის ხელშეწყობა არა მხოლოდ სარგებელს მოუტანს ამ ერებს, არამედ ხელს შეუწყობს ქვეყნების შიდა ჯანმრთელობის უსაფრთხოებას. როგორ შეიძლება გაძლიერდეს ტრანსნაციონალური არაპოლიტიკური კავშირები მეცნიერებაში და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში გლობალური თანამშრომლობის ხელშესაწყობად?

არასწორი ნაბიჯები და არასწორი კომუნიკაცია, რამაც ხელი შეუშალა COVID-19 პანდემიაზე ეფექტურ რეაგირებას, გამოავლინა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სამეცნიერო დაწესებულებების მმართველობის სისტემების ხარვეზები გლობალურად. ჯანდაცვის ცნობილი საერთაშორისო და ლოკალური ორგანიზაციები ათეულობით წლების წინ შეიქმნა ჯანმრთელობის საფრთხის საპასუხოდ. როგორც არაერთხელ ითქვა, მსოფლიო დღეს გაცილებით პატარა ადგილია ვიდრე 100 წლის წინ და კლიმატის ცვლილება და პანდემიები მსოფლიო გლობალური პრობლემებია. ამიტომ ცნობილი ფედერალური ინსტიტუტების სტრუქტურისა და შესაძლებლობების გადახედვა უმნიშვნელოვანესია 21-ე საუკუნეში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ოპტიმალურად დაცვისათვის. ყოველივე კი მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებების მმართველობის სტრუქტურებში და მეცნიერების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართ საზოგადოების ნდობის აღდგენას.

გამოყენებული რესურსები:

1. Preparing for the 21st Century: Technology and the Nation's Future. National Academies Press; 1997.
2. Nuzzo JB, Bell JA, Cameron EE. Suboptimal US response to COVID-19 despite robust capabilities and resources. JAMA. 2020;324(14):1391-1392.
3. Rasmussen SA, Ward JW, Goodman RA. Protecting the editorial independence of the CDC from politics. JAMA. 2020;324(17):1729-1730.
4. Webb Hooper M, Nápoles AM, Pérez-Stable EJ. COVID-19 and racial/ethnic disparities. JAMA. 2020;323(24):2466-

2467.
5. Sagan C, Druyan A. The Demon-Haunted World: Science as a Candle in the Dark. Random House; 1996.
6. https://jamanetwork.com/journals/jama/fullarticle/2776207

COVID-19 Pandemic as Opportunity for a Successful Science and Public Health Future

K. M. Venkat Narayan[1], James U. Quran[2], William H. Fogg[3], Rollins School of Public Health and Medicine[4] Emory University, Atlanta, USA[5], Maia Vasadze[6]

[1]doctor of medicine
[2]doctor of medicine
[3]Master of Public Health
[6]Free Academy of Tbilisi Assistant Professor, Translator maia.vasadze@freeacademy.edu.ge

Abstract

The ideas and opinions expressed in this article evolved through a series of focused meetings among the members of the National Academies of Sciences, Medicine, and Engineering (NASEM) at Emory University. Despite modern scientific and technological advances, the response to the COVID-19 pandemic has clearly exposed vulnerabilities in society and the shortcomings of public health institutions worldwide. The pandemic has become a challenge for healthcare organizations and agencies to address the identified deficiencies and develop strategies for a better and more secure future beyond the pandemic.

Keywords: Pandemic, Challenges, Opportunities, Public Health, Science, Scientific Independence, Communication, Global Cooperation

კოვიდი და კოვიდთან თანაცხოვრება თანამედროვე მსოფლიოში

თამარ დევიძე[1], გიორგი შოშიტაშვილი[2]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, tdevidze@freeacademy.edu.ge
[2]ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი, dshoshitashvili@freeacademy.edu.ge

ანოტაცია

კოვიდის პანდემიით გამოწვეული კრიზისის მიერ ქვეყნის ეკონომიკასა და ადამიანების კეთილდღეობაზე მიყენებული ზიანი ჯერ კიდევ არაპროგნოზირებადი და მზარდია. სახელმწიფოების მხრიდან ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის და პანდემიის გავრცელების პრევენციისთვის გატარებულმა ზომებმა, მათ შორის, საზღვრების ჩაკეტვამ, ქალაქებს შორის მოძრაობის აკრძალვამ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და სოციალური დისტანცირების მოტივით ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, მშპ, ინფლაცია, ეკონომიკა.

ბოლო წლებში ეკონომიკური აქტივობის შედეგად საქართველოში შეიმჩნეოდა ეკონომიკური ზრდა. 2017 წლის მესამე კვარტალში საქართველოში ეკონომიკურმა ზრდამ 4,4% შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტად შემდეგი დარგები გაიზარდა: სასტუმროები და რესტორნები + 12.6%; სამთომომპოვებელი მრეწველობა +10.6%; მშენებლობა +9.3%; ვაჭრობა+9.3%.

2017 წლის დასაწყისიდან საქართველოს ეკონომიკამ დაიწყო სწრაფი გამოცოცხლება. პირველ სამ კვარტალში 4.9%-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. 2017 წლის ყველაზე მაღალი ზრდა (9.9%) სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში დაფიქსირდა. შემდეგ მოდის საფინანსო საქმიანობა 9.3%-იანი ზრდით. მესამე ადგილზე მშენებლობაა 8.1% ზრდით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მშენებლობის სექტორში ორჯერ მეტი პროდუქცია შეიქმნა, ვიდრე საფინასო საქმიანობაში. 7.6%-ით და 6.7%-ით გაიზარდა სამთომომპოვებელი მრეწველობისა და უძრავი ქონებით ოპერაციების სექტორები. თუ 2016-2017 წლების საშუალო ზრდის ტემპს ვნახავთ, პირველ ადგილზე სამთომომპოვებელი მრეწველობაა 15%-ით, მშენებლობა 10,8%-ით და საფინანსო საქმიანობა 9,8%-ით, ვაჭრობა კი გაიზარდა 9,3%-ით.

2018 წლის პირველ კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5.2% შეადგინა. 2018 წლის პირველ კვარტალში (2017 წლის მეოთხე კვარტლის მსგავსად) ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საგარეო სექტორის გააქტიურებამ.

2018 წლის მარტში, წინა წლის მარტთან შედარებით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა აღინიშნა სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევაში, დამამუშავებელ მრეწველობაში, ტრანსპორტში, უძრავი ქონებით ოპერაციებში და ვაჭრობაში. 2018 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სახელმწიფოს წილი (მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯების მიხედვით) გაიზარდა 231.6 მილიონი ლარით

(9.9%-ით) და 2,569.7 მილიონი ლარი შეადგინა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურზე დაყრდნობით 2019 წლის აპრილში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5.1% შეადგინა, ხოლო 2019 წლის პირველი ოთხი თვის საშუალო რეალური ზრდა 4.8%-ით განისაზღვრა. 2019 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა ვაჭრობაში, ტრანსპორტში, საფინანსო საქმიანობაში, უძრავი ქონებით ოპერაციებისა და მომხმარებლისათვის სხვა მომსახურების გაწევის დარგში. 2019 წლის იანვარ-მარტში ტურიზმი საქართველოში 26%-ით გაიზარდა. ასეთი ზრდის ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში სასტუმროებსა და რესტორნებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზრდება, რაც დარგში მომგებიანობის ზრდის წინაპირობა იყო. თუმცა, 2020 წელს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა და მისი ზრდა დამოკიდებული იყო, თუ როგორ განვითარდა მსოფლიო პანდემიის პირობებში., ამიტომაც პირველი კვარტლის ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 1.5 %, ეკონომიკური ზრდის მონაცემებით საქართველოსთვის: 2020 წელი: -4 %, წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 6.3 %, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 4.2 %.

2021 წელს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა და მისი ზრდა მთლიანად დამოკიდებულია, თუ როგორ განვითარდება მსოფლიო პანდემიის პირობებში და მის შემდეგ. მიუხედავად ამისა, 2021 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 9.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2021 წლის პირველი შვიდი თვის საშუალო მაჩვენებელი 12.2 პროცენტია. 2021 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ დარგებში: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, დამამუშავებელი მრეწველობა, სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა. კლების ტენდენცია დაფიქსირდა მშენებლობასა და სამთომომპოვებელი მრეწველობის დარგებში.

საქართველოში ბოლო 1 წელიწადში გაძვირებული ცხოვრება საქსტატის მონაცემებით ასე წარმოგვიდგება: 2021 წლის აგვისტოში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.7 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 12.8 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის აგვისტოში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.7 პროცენტი შეადგინა, თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი კი 6.8 პროცენტით განისაზღვრა.

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: რძე, ყველი და კვერცხი - 3.8%; ხორცი და ხორცის პროდუქტები - 2.6%; ბოსტნეული და ბაღჩეული - 2.1%; ყავა, ჩაი და კაკაო - 1.2%; თევზეული - 1.1%; მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები - 1.0%. ფასები შემცირდა: ზეთსა და ცხიმზე - 2.1%-ით; ხილსა და ყურძენზე - 1.5%-ით.

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა: პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე - 1.2%; სატრანსპორტო მომსახურებაზე - 0.9%; სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე - 0.5%;

სასტუმროები, კაფეები და რესტორნების ჯგუფში ფასები გაიზარდა: ღამის გასათევით მომსახურებაზე - 7.2%; საზოგადოებრივ კვებაზე - 1.1%.

საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირის ჯგუფში ფასები გაიზარდა: ფაქტიური გადასახადი საცხოვრებელზე - 4.3%; საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება - 0.5%.

რაც შეეხება წლიური ინფლაცია და წლიური ფასების ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ჯგუფებში:
სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა: ზეთი და ცხიმი - 43.9%; ბოსტნეული და ბაღჩეული - 42.2%; რძე, ყველი და კვერცხი - 17.3%; შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული - 16.9%; პური და პურპროდუქტები - 13.0%; თევზეული - 11.9%; მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები - 11.5%; ხორცი და ხორცის პროდუქტები - 8.3%; ყავა, ჩაი და კაკაო - 6.8%; ხილი და ყურძენი - 5.4%.
ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა: პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე - 32.5%; სატრანსპორტო მომსახურებაზე - 4.6%; სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე - 2.9%.
საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირის ჯგუფში ფასები გაიზარდა: ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები - 13.5%; საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება - 7.1%; წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება - 4.5%.
ჯანმრთელობის დაცვა, ჯგუფში ფასები მომატებულია: სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობის - 17.9%; საავადმყოფოების მომსახურების - 5.3%; ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება - 5.0%.
როდის აღდგება ეკონომიკა საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში?
Visual Capitalist-ის ცნობით, დღეისათვის უკვე არსებობს გარკვეული პროგნოზები, როცა ქვეყნები გლობალური პანდემიისგან თავის დაღწევას შეძლებენ. ეს პროგნოზები კი სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული.
ალბათ, გასაკვირი არაა, რომ აღდგენის სათავეში ჩინეთი და აშშ დგას. მაგალითად, ჩინეთმა პანდემიამდელ დონეზე დაბრუნება ყველაზე მეტად "იჩქარა" და ჯერ კიდევ 2020 წლის მეორე კვარტალის შემდეგ ეკონომიკურად მოძლიერება მოახერხა. მეორე მხრივ, მსოფლიო რუკაზე არაერთი ქვეყანაა, რომელსაც პრეპანდემიური ცხოვრების დონეზე დაბრუნებისთვის ლოდინი წლების განმავლობაში მოუწევს. მაგალითად, საუდის არაბეთისთვის ეს თარიღი 2024 წლის პირველი კვარტალია. არგენტინისთვის კი, რომელსაც აღდგენის შედარებით დაბალი ტემპი აქვს, ნანატრი ვადა 2026 წლის მეორე კვარტალია.
ქვეყნების უმეტესობა ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის პანდემიურ დონეს 2022 წლის ბოლოს მიაღწევს. თუმცა ისლანდიისა და ესპანეთისთვის ეკონომიკის აღდგენა 2023 წლამდე მოსალოდნელი არ არის. წამყვანი ეკონომიკის მქონე ზოგიერთმა ქვეყანამ აღდგენა უკვე მოახერხა, ზოგს კი ამისათვის სულ ცოტა დრო დარჩა.
მაგალითად: რუსეთი - 2021 წლის მესამე კვარტალის შემდეგ; ჩილე - 2021 წლის მესამე კვარტალის შემდეგ; ინდოეთი - 2021 წლის მეოთხე კვარტალის შემდეგ; ინდონეზია - 2021 წლის მეოთხე კვარტალის შემდეგ.
მართალია, ასეთი წინასწარი მოლოდინები არსებობს, თუმცა ეს პროგნოზები გარანტირებული არ არის და ბევრი ქვეყანა ეტაპობრივად კვლავ აწყდება სირთულეებს, რამდენადაც COVID-19 მუტაციას განიცდის და მსოფლიოს კიდევ უფრო მეტად უტევს. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკის აღდგენის ტემპი განსხვავებულია, მოსახლეობის ვაქცინაციის განსხვავებული მაჩვენებლებია. რამდენადაც ეს მაჩვენებელი მაღალია, მით უფრო დაბალია ვირუსის გავრცელება. ეს კი ქვეყნებს რეგულაციების შემსუბუქების შესაძლებლობას აძლევს, რითაც ხალხი ნელ-ნელა ადრინდელ ცხოვრებას უბრუნდება, რაც ეკონომიკის საწვავია. და, რაც მთავარია, რამდენადაც სწრაფად მიმდინარეობს ვაქცინაცია, ვირუსის მუტაციისთვის მით უფრო ნაკლები დრო რჩება.

ეკონომიკის აღდგენის კიდევ ერთი ფაქტორი ქვეყნების ჯანდაცვის სექტორში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურაა. ამ შემთხვევაშიც, წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს უკეთესი მდგომარეობა აქვთ, შედარებით დიდი მოცულობის საავადმყოფოები და მობილიზებული სამედიცინო პერსონალი ჰყავთ. ცხადია, ეს პანდემიის მართვისთვის გადამწყვეტი ფაქტორებია, რომლის შედეგიც ისაა, რომ მოწესრიგებული სამედიცინო ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებს ნაკლები კოვიდშემთხვევები, მეტად შემსუბუქებული რეგულაციები და, შედეგად, სწრაფად აღდგენილი ეკონომიკა აქვს.

და ბოლოს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი ფაქტორი მთავრობის მხარდაჭერა და ფისკალური სტიმულია. სამწუხაროდ, ვაქცინაციის მაჩვენებლის მსგავსად, ფისკალური სტიმულირების ნაწილშიც ქვეყნებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა, რაც პირდაპირ მოქმედებს მათი აღდგენის ტემპზე.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები პანდემიის გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე არაერთგვაროვნად აფასებენ. აზიის განვითარების ბანკის გავრცელებულ ანგარიშში, პანდემიის მოსალოდნელი შედეგების განვითარების სამი პოტენციური შემთხვევა არის განხილული. პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე განსხვავებულად აისახება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მის დამარცხებას. აზიის განვითარების ბანკის მიხედვით, პანდემია 77$ (0.08% მშპ) მილიარდიდან 347$ მილიარდამდე (0.4% მშპ) ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას.

გაეროს მიერ შემოთავაზებული უკანასკნელი ანალიზით, COVID-19-ის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2.5%-მდე შემცირდება, მიყენებული ზარალი კი დაახლოებით ტრილიონ დოლარს მიაღწევს. უფრო ცუდ შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს. ყველაზე დიდი ზიანი კი ნავთობის და სხვა საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებს მიადგება. მოსალოდნელია ასეთი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპის მინიმუმ 1%-იანი შემცირება.

ეუთოს ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 2.4%-მდე შემცირდება წინასწარ ნავარაუდევი 2.9%-დან, რაც ძირითადად, მსოფლიო ვაჭრობის შემცირებით იქნება განპირობებული.

რაბო ბანკის ცოდნის ცენტრის ანაგარიში მოსალოდნელ შედეგებს კიდევ უფრო ნეგატიურად აფასებს და გლობალური ეკონომიკის ზრდის შემცირებას 1.6%-მდე ელოდება (უარეს შემთხვევაში კი 0.2%-მდე).

მნიშვნელოვან ფინანსურ ზიანს უნდა ელოდონ განვითარებადი ეკონომიკებიც. ასე რომ, მხოლოდ დრო იტყვის, როდის დაუბრუნდება დედამიწა პანდემიამდელ ცხოვრებას. თუმცა, ამ დაბრუნებაში, ცხადია, ყველა ჩამოთვლილ ფაქტორს უდიდესი როლი აქვს. რაც შეეხება საქართველოს, ეს განსჯისთვის თქვენთვის მოგვინდია...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.geostat.ge
2. www.parliament.ge
3. www.dea.gov.ge

4. www.napr.gov.ge
5. www.idfi.ge

Covid and coexistence with Covid in the modern world

Tamar Devidze[1], George Shoshitashvili[2]

[1]Free Academy of Tbilisi Associate Professor, tdevidze@freeacademy.edu.ge
[2]Free Academy of Tbilisi, Ph.D Degree in Business Administration, gshoshitashvili@freeacademy.edu.ge

Abstract

The damage caused to the country's economy and human well-being by the crisis caused by the Covid pandemic is still unpredictable and growing. Measures taken by States to save lives and prevent the spread of pandemics; These include closing borders, banning traffic between cities, declaring a state of emergency, and restricting economic activity for social reasons It has dealt a significant blow to the economic development of the countries of the world.

Studies and reports prepared by international organizations assess the impact of the pandemic on the global economy inconsistently. The impact of a pandemic on the world economy will be different and will depend on how long it takes to defeat it. Emerging economies should also expect significant financial losses. So only time will tell when the earth will return to pre-pandemic life. However, in this return, obviously, all the listed factors play a huge role.

პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და მისი დაძლევის გზები

ემზარ კაკულია

თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ekakulia@freeacademy.edu.ge

ანოტაცია

პანდემიამ უდიდესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ადამიანის სიცოცხლეზე, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზეც. მსოფლიო მთავრობები ეძებენ გამოსავალს რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან.

პანდემია არის გლობალური გამოწვევა, სადაც საქართველო არ შეიძლება იყოს გამონაკლისი. საქართველოს ეკონომიკა კორონავირუსის პანდემიის გამო აღმოჩნდა ძლიერი დარტყმის ქვეშ და ღრმა შოკში ჩააგდო. მან დიდი ზიანი მიაყენა როგორც მთლიანად ეკონომიკას, ისე ადმიანათა კეთილდღეობას. 2020 წლის აპრილში მკაცრი ლოკდაუნის ფონზე, ქვეყნის რეალური მშპ 2019 წლის აპრილთან შედარებით 16,6% -ით დაეცა.

დღევანდელ ვითარებაში საქართველოს მხოლოდ საგარეო სესხების მიღება შეუძლია. გარე დახმარების საერთო მოცულობამ შეადგინა 3 მილიარდი აშშ დოლარი. მხოლოდ 2020 წელს დაახლოებით 3.5 მილიარდი ლარი დაიხარჯა ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე. ანტიკრიზისული ზომები ითვალისწინებდა ბიზნესის მიზნობრივ დახმარებას. უპირველეს ყოვლისა, თანხები დაიხარჯა დასაქმებულთა საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირებაზე.

2020 წლის ბოლოს, საქართველომ მიიღო 2021 წლის განახლებული ბიუჯეტი. ის შედგენილია მშპ-ს 4%-იანი ზრდის გათვალისწინებით, ინფლაციის მაჩვენებელი 3.5%-ით და ბიუჯეტის დეფიციტი 7.6%-ით. ამავე დროს, შემოსავლების ნაწილი წინა წელთან შედარებით შემცირდა 1.6 მილიარდი ლარით, ხოლო ხარჯების პირიქით, გაიზარდა 2.4 მილიარდი ლარით. დეფიციტის დაფარვა დაიგეგმა გარე და შიდა სესხებით 5,3 მილიარდი ლარის ოდენობით, მათ შორის ახალი ევროობლიგაციების გამოშვებით 2021 წელს.

კრიზისის ფონზე, უცხოეთიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ ახალი ანტირეკორდი დაამყარა და შვიდი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ დონეს მიაღწია.

საქართველოს რეალური მშპ 2021 წლის პირველ ექვს თვეში გაიზარდა 12.7%-ით გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამას ხელი შეუწყო ფულადი გზავნილების ზრდამ, საქონლის ექსპორტმა და ტურისტების თანდათანობით დაბრუნებამ. ასევე, ოფიციალური კრედიტორების მხარდაჭერამ გაზარდა გარე ბუფერები. Fitch-ის სარეიტინგო სცენარის მიხედვით, 2021 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 7.8%-მდე გაიზრდება, რაც 3.5 პროცენტული პუნქტით მეტია ვიდრე სააგენტოს წინა კვლევაში.

თუმცა, საქსტატის იგივე მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ჯერ არ მოჰყოლია მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდა. ჯერ კიდევ საქართველოში მოსახლეობის 21,3% რჩება აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა, უმუშევრობამ კი ბოლო წლებში რეკორდულ მაჩვენებელს, 21,9%-ს მიაღწია, ხოლო ინფლაციამ 7,2%-ს.

რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის პირდაპირ გავლენას მოსახლეობის კეთილდღეობაზე, დღეს მაღალი ინფლაცია შეიძლება გახდეს მძიმე ტვირთი მოსახლეობისთვის და მისი უარყოფითი შედეგები უფრო ხელშესახებია ვიდრე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ზრდა იყოს ინკლუზიური.

ძნელია საუბარი ეკონომიკურ აღდგენაზე მოქალაქეების საყოველთაო ვაქცინაციის დასრულებამდე, ვინაიდან ეპიდემიის ახალი აფეთქების ალბათობა მაღალია.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, კორონავირუსი, საქართველოს ეკონომიკა, ანტიკრზისული პროგრამა, ინფლაცია.

კორონავირუსი არის საშიში დაავადება, რომელიც ყოველდღიურად ათიათასობით ადამიანს აწუხებს მთელს მსოფლიოში. პანდემიამ უდიდესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ადამიანის

სიცოცხლეზე, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზეც. მსოფლიო მთავრობები ეძებენ გამოსავალს რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან.

განვითარებული ქვეყნები, სადაც წარმოება მიმდინარე წელს დაახლოებით 4 პროცენტით გაიზრდება, ძალიან დაზარალდა პანდემიის დროს. 2020 წელს მათი ეკონომიკა საშუალოდ 5.6 პროცენტით შემცირდა. შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო წარმოებისა და მომსახურების იძულებითი დახურვით. განვითარებად ქვეყნებში, გაეროს მსოფლიო ეკონომიკური ანგარიშის თანახმად, ეკონომიკური განვითარების ნაკლებად მკვეთრი ვარდნაა - 2.5 პროცენტი, 2021 წელს მოსალოდნელია 5.7 პროცენტით აღდგენა.[1]

ბევრ საშუალო და დაბალშემოსავლიან ქვეყანას ახლა უკიდურესად სჭირდება ლიკვიდურობა, რათა თავიდან აიცილონ ვალები, აუცილებელია სოლიდარობისა და ფინანსური დახმარების გადაუდებელობა ყველა დაინტერესებული მხარისგან, კერძო კრედიტორების ჩათვლით. ასეთი კონსოლიდაციის მთავარი მიზანია დაუცველი ქვეყნებისათვის ვალის ტვირთის შემსუბუქება ისე, რომ მათ არ მოუწევთ არჩევანის გაკეთება მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მომსახურების გაწევას და მათი ვალების მომსახურებას შორის.

პანდემია არის გლობალური გამოწვევა, სადაც საქართველო არ შეიძლება იყოს გამონაკლისი. საქართველოს ეკონომიკა კორონავირუსის პანდემიის გამო აღმოჩნდა ძლიერი დარტყმის ქვეშ და ღრმა შოკში ჩააგდო, რამაც დიდი ზიანი მიაყენა როგორც მთლიანად ეკონომიკას, ისე ადამიანთა კეთილდღეობას. განსაკუთრებით მოწყვლადი აღმოჩნდა ტურიზმი, უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან, რაზეც ძირითადად დგას ქართული ეკონომიკა. ამ მხრივ შედეგები ჯერ კიდევ მზარდია და არაპროგნოზირებადი.

2020 წლის პირველი ორი თვის ოპტიმისტური ზრდა შეუფერხებლად გადაიქცა ყველაზე ღრმა ეკონომიკურ კრიზისად საქართველოს მთელ ისტორიაში. მხოლოდ მარტში, პირველი ჩაკეტვის შემოღების შემდეგ, ქვეყნის მშპ თითქმის 17 პროცენტით შემცირდა. კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული ტურისტული ნაკადის მკვეთრმა შემცირებამ შეაჩერა უცხოური ვალუტის ძირითადი წყარო. მარტში ექსპორტი შემცირდა დაახლოებით 22%-ით, იმპორტი - 13.4%-ით. ამ ფაქტორების ზეწოლის ქვეშ გაუფასურდა ქართული ლარი, რომელიც, მიუხედავად ეროვნული ბანკის ფართომასშტაბიანი სავალუტო ჩარევისა, წლის ბოლოსთვის აშშ დოლართან მიმართებაში 22%-ით გაუფასურდა.

კრახის მასშტაბი შეიძლება ილუსტრირებული იყოს გაცილებით აყვავებული 2019 წლის ერთ-ერთ ინდიკატორთან შედარებით: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, უცხოელმა სტუმრებმა საქართველო უზრუნველყვეს 3.3 მილიარდი დოლარის შემოსავლით. 2019 წელს საქართველოში დაფიქსირდა ვიზიტორების რეკორდული რაოდენობა - 9.3 მილიონი.

დღევანდელ ვითარებაში საქართველოს მხოლოდ საგარეო სესხების მიღება შეუძლია. გარე დახმარების საერთო მოცულობამ შეადგინა 3 მილიარდი აშშ დოლარი, აქედან მხოლოდ 2020 წელს დაახლოებით 3.5 მილიარდი ლარი დაიხარჯა ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე.

პირველი ანტიკრიზისული პროგრამის შედეგების მიხედვით, 350 ათასმა მოქალაქემ, რომლებმაც სამსახური დაკარგეს საგანგებო მდგომარეობის დროს, მიიღეს სახელმწიფოსგან დახმარება 200 ლარის ოდენობით ექვსი თვის მანძილზე. ამ მიზნებისათვის ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 460 მილიონი ლარი. გარდა ამისა, ამ კატეგორიის მოქალაქეებს შესთავაზეს სამთვიანი

1 Мировая экономика после пандемии: ООН призывает к глобальной консолидации https://news.un.org/ru/story/2021/01/1395082

გადავადების გადახდა საბანკო სესხებზე. 75 მილიონი ლარი გადაეცა ერთჯერადი დახმარების სახით, 300 ლარის ოდენობით, თვითდასაქმებულ მოქალაქეებს.

ანტიკრიზისული ზომები ითვალისწინებდა ბიზნესის მიზნობრივ დახმარებას. უპირველეს ყოვლისა, თანხები წავიდა დასაქმებულთა საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირებაზე. ეს სუბსიდიები გამოითვლებოდა ხელფასიდან 750 ლარის ოდენობით და ვრცელდებოდა ყველა ხელფასზე 1500 ლარამდე. ამ ღონისძიების ბიუჯეტმა 250 მილიონი ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, 434 მილიონი ლარი გამოიყო სამშენებლო სექტორის დასახმარებლად. მთავრობამ სუბსიდირება გაუწია იპოთეკური სესხების 4%-ს, რომელიც მოქალაქეებმა მიიღეს 2020 წლის ბოლოსთვის. ამისთვის 85 მილიონი ლარი გამოიყო. მესამე დახმარების პაკეტი არის სოციალური. მისი მოცულობა შეადგენდა 83 მილიონ ლარს.

ეკონომიკურმა ვარდნამ მნიშვნელოვანი ზეწოლა მოახდინა ინფლაციაზე, რომელიც 6.1%-ით გაიზარდა წლის განმავლობაში. საკვების ფასების ზრდამ 2008 წლის რეკორდიც კი მოხსნა - მაგალითად, ხილზე ფასები გაიზარდა თითქმის ერთნახევარჯერ, კვერცხის და რძის პროდუქტების - 17%-ით, თევზი - 15,8%-ით, ხორცი - 13%-ით, პური - 10%-ით.

2020 წლის ბოლოს, საქართველომ მიიღო 2021 წლის განახლებული ბიუჯეტი. ის შედგენილია მშპ-ს 4%-იანი ზრდის გათვალისწინებით, ინფლაციის მაჩვენებელი 3.5% -ით და ბიუჯეტის დეფიციტი 7.6%-ით. ამავე დროს, შემოსავლების ნაწილი წინა წელთან შედარებით შემცირდა 1.6 მილიარდი ლარით, ხოლო ხარჯების, პირიქით, გაიზარდა 2.4 მილიარდი ლარით. დეფიციტის დაფარვა დაიგეგმა გარე და შიდა სესხებით 5,3 მილიარდი ლარის ოდენობით, მათ შორის 2021 წელს ახალი ევროობლიგაციების გამოშვებით.[2]

კრიზისის ფონზე, უცხოეთიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ ახალი ანტირეკორდი დაამყარა და შვიდი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ დონეს მიაღწია. პირველ სამ კვარტალში, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მათი მოცულობა 23,6 პროცენტით შემცირდა.

ამავე დროს, პირველად ისტორიაში, რეინვესტირების სპეციფიკურმა წილმა (133,6 მლნ აშშ დოლარი) გადააჭარბა რეალური კაპიტალის შემოდინებას (97,4 მლნ აშშ დოლარი) 71%-ით.

მიუხედავად ამისა, საქართველომ კარგად გაართვა თავი გარე შოკს კორონავირუსული პანდემიის დროს. მშპ-ს რეალური ზრდა 2021 წლის პირველ ექვს თვეში გაიზარდა 12.7%-ით გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამას ხელი შეუწყო ფულადი გზავნილების ზრდამ, საქონლის ექსპორტმა და ტურისტების თანდათანობით დაბრუნებამ. იმავდროულად, ოფიციალური კრედიტორების მხარდაჭერამ გაზარდა გარე ბუფერები.[3]

Fitch- ის სარეიტინგო სცენარის მიხედვით, 2021 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 7.8%-ს მიაღწევს, რაც 3.5 პროცენტული პუნქტით მეტია სააგენტოს წინა კვლევასთან შედარებით, რომელიც გამოქვეყნდა ექვსი თვის წინ. ტურიზმის სექტორის უფრო მდგრადი აღდგენა და გაზრდილი ინვესტიცია შეძლებს უზრუნველყოს მშპ-ს რეალური ზრდა 2022–2023 წლებში, საშუალოდ 5.4%, რაც აღემატება პოტენციალს 4.0–4.5%.

---

2 Грузия 2020: Экономика под знаком коронавируса https://www.ekhokavkaza.com/a/31033196.html

3 Fitch подтвердило рейтинги Грузии на уровне «BB», изменив прогноз на «стабильный» https://www.newsgeorgia.ge/fitch-%D0%BF%D0%BE%D0%B4%D1%82%D0%B2%D0%B5%D1%80%D0%B4%D0%B8%D0%BB%D0%BE-%D1%80%D0%B5%D0%B9%D1%82%D0%B8%D0%BD%D0%B3%D0%B8-%D0%B3%D1%80%D1%83%D0%B7%D0%B8%D0%B8-%D0%BD%D0%B0-%D1%83%D1%80%D0%BE%D0%B2/

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საქართველოს სახელმწიფო ვალის თანაფარდობა, რომელიც 2020 წელს მშპ-ს 60%-ს აღწევდა, წელს 56%-მდე შემცირდება, ხოლო 2023 წელს 55.2%-მდე.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წლის აპრილში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მშპ-ს ზრდა თითქმის 45 პროცენტი იყო და საშუალოდ 2021 წლის პირველ ოთხ თვეში 8 პროცენტს გადააჭარბა. ეს იმ დროს, როდესაც 2020 წლის აპრილში მკაცრი შეზღუდვების პირობებში, ქვეყნის რეალური მშპ 2019 წლის აპრილთან შედარებით შემცირდა 16.6% -ით.[4]

თუმცა, საქსტატის იგივე მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ჯერ არ მოჰყოლია მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდა. საქართველოში მოსახლეობის 21,3% რჩება აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა, უმუშევრობამ კი რეკორდულ მაჩვენებელს 21,9%-ს მიაღწია, ხოლო ინფლაციამ - 7,2%-ს. მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის ტემპზე.

რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის პირდაპირ გავლენას მოსახლეობის კეთილდღეობაზე, დღეს მაღალი ინფლაცია შეიძლება გახდეს მძიმე ტვირთი მოსახლეობისთვის და მისი უარყოფითი შედეგები უფრო ხელშესახებია ვიდრე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ზრდა იყოს ინკლუზიური. ასეთი პირობებში, სახელმწიფო, უშუალოდ ეროვნული ბანკი, კიდევ უფრო ფრთხილად უნდა იყოს.

ძნელია საუბარი ეკონომიკურ აღდგენაზე მოქალაქეების საყოველთაო ვაქცინაციის დასრულებამდე, ვინაიდან ეპიდემიის ახალი აფეთქების ალბათობა მაღალია, სანამ ვაქცინაციის დონე 60%-ს არ მიაღწევს. ამ ფრონტზე ყველაფერი არც ისე კარგადაა.

უპრეცედენტო მსოფლიო კრიზისი, რომელმაც ორ მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რამაც უამრავი ოჯახი სიღარიბეში ჩააგდო, გააძლიერა შემოსავლების უთანასწორობა, შეაფერხა საერთაშორისო ვაჭრობა და მოშალა გლობალური ეკონომიკა, მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაუდებელ ზომებს.

სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი და მექანიზმი შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსასვლელად. უნდა გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობის მიზნით.

აუცილებელია ადგილობრივმა ხელისუფლებამ მეტი ყურადღება გამოიჩინოს ადგილობრივ მეწარმეათა მიმართ. ინოვაციური პროექტების შეთავაზებით შეუძლიათ ინვესტიციების მოზიდვა და რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საჭიროა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა რესურსის მაქსიმალურად ჩაბმა ეკონომიკურ აქტივობაში მისი პრივატიზირების გზით, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღდგენას პოსტპანდემიურ პერიოდში. ასევე, პოსპანდემიურ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ დარგებს, რომლებსაც მაღალი საექსპორტო პოტენციალი აქვთ.

მეტი ძალისხმევაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის სწორი ინფორმირებისა და მოტივაციისათვის საყოველთაო ვაქცინაციის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. ასევე საჭიროა ჯანაცვის სისტემის გაძლიერება, რაც ქვეყანას თავს აარიდებს ახალ ლოგდაუნებს და ბიზნესს მისცემს მუშაობის საშუალებას.

სამართლიანი, უსაფრთხო და სიცოცხლისუნარიანი სამყაროს მშენებლობის პერსპექტივები

4 Грузия 2020: Экономика под знаком коронавируса https://www.ekhokavkaza.com/a/31282881.html

იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად უპასუხებს კაცობრიობა ასეთ საშიშ გამოწვევას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკური პოლიტიკა კრიზისის დროს: ინტერვიუები ეკონომიკის მკვლევრებთან https://socialjustice.org.ge/ka/products/ekonomikuri-politika-krizisis-dros-interviuebi-ekonomikis-mkvlevrebtan
2. Грузия 2020: Экономика под знаком
3. коронавируса https://www.ekhokavkaza.com/a/31033196.html
4. Fitch подтвердило рейтинги Грузии на уровне «BB», изменив прогноз на «стабильный»
5. https://www.newsgeorgia.ge/fitch-%D0%BF%D0%BE%D0%B4%D1%82%D0%B2%D0%B5%D1%80%D0%B4%D0%B8%D0%BB%D0%BE-%D1%80%D0%B5%D0%B9%D1%82%D0%B8%D0%BD%D0%B3%D0%B8-%D0%B3%D1%80%D1%83%D0%B7%D0%B8%D0%B8-%D0%BD%D0%B0-%D1%83%D1%80%D0%BE%D0%B2/

The impact of the pandemic on the Georgian economy and ways to overcome it

Emzar kakulia

Free Academy of Tbilisi Associate Professor, Academic Doctor of Economic Sciences, ekakulia@freeacademy.edu.ge

Abstract

The pandemic has had the greatest impact not only on human life but also on the world economy. World governments are looking for a way out of a difficult economic situation.

Pandemic is a global challenge where Georgia can't be an exception. Georgia's economy has been hit hard by the coronavirus pandemic and has been in deep shock. It has caused great damage to both the economy as a whole and the well-being of the people. Amid a severe lockdown in April 2020, the country's real GDP fell by 16.6% compared to April 2019.

In the current situation, Georgia can only receive foreign loans. The total volume of external assistance amounted to $ 3 billion. In 2020 alone, about $ 3.5 billion was spent on anti-crisis measures. Anti-crisis measures provided targeted assistance to businesses. First of all, the funds were spent on subsidizing employee income tax.

At the end of 2020, Georgia adopted the updated 2021 budget. It is based on 4% GDP growth, an inflation rate of 3.5% and a budget deficit of 7.6%. At the same time, the share of revenues decreased by 1.6 billion compared to the previous year, while the share of expenditures increased by 2.4 billion GEL. The deficit was planned to be repaid with external and domestic loans in the amount of 5.3 billion GEL, including the issuance of new Eurobonds in 2021.

Against the background of the crisis, the volume of foreign direct investment has set a new anti-record and reached its lowest level in seven years.

Georgia's real GDP in the first six months of 2021 increased by 12.7% compared to the same period last year. This was facilitated by the growth of remittances, the export of goods, and the gradual return of tourists. Also, support from official lenders has increased external buffers. According to the Fitch rating scenario, Georgia's economic growth will grow by an average of 7.8% in 2021, which is 3.5 percentage points higher than in the previous study of the agency.

However, judging by the same data from Geostat, the acceleration of economic growth has not yet led to an increase in the welfare of citizens. 21.3% of the population in Georgia is still below the absolute poverty line, while unemployment has reached a record level of 21.9% in recent years, while inflation has reached 7.2%.

As for the direct impact of economic growth on the well-being of the population, today high inflation can become a heavy burden for the population and its negative consequences are more tangible than the consequences of high economic growth. Therefore, it is important for economic growth to be inclusive.

It is difficult to talk about economic recovery until the end of universal vaccination of citizens, since the probability of a new outbreak of the epidemic is high.

Keywords: pandemic, coronavirus, Georgian economy, anti-crisis program, inflation.

საქართველოს საგადასახადო სისტემის გამოწვევები პანდემიურ და პოსტ-პანდემიურ პერიოდში

მურმან ციქუბაძე

თბილისის თავისუფალი აკადემიის ასისტენტ პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, tsikubadzemurman@gmail.com

ანოტაცია

საქართველოსა და ზოგადად მსოფლიოსთვის კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემია ერთგვარ გამოცდად იქცა, რომელმაც განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა და სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობა. პანდემია შეეხო ყველა სფეროს, ფაქტობრივად გამონაკლისების გარეშე და ერთგვარი გამოცდა მოუწყო თითოეულ ქვეყანასა და ამ ქვეყნის სისტემებს.

პანდემიის პროცესში, ქვეყნის ეკომონიკის გადასარჩენად კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა საგადასახადო სისტემამ, როგორც ერთგვარმა იარაღმა, რომლის სწორ გამოყენებაზეც არის დამოკიდებული ის შედეგები, რომელსაც მიიღებს ქვეყანა პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში.

საგადასახადო სისტემა არის ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება ფინანსური ანგარიშსწორება სწრაფად, უსაფრთხოდ და საიმედოდ. ეს კი ფინანსური და ფულადი ბაზრების გამართული ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. საბოლოოდ კი ხელს უწყობს, ზოგადად ეკონომიკის სტაბილურობასა და ეფექტიანობას. საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემის გამართულ მუშაობაზე. გადასახადები თავის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები, ყოველთვის არის და იქნება ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკვანძო საკითხი, ეს კიდევ უფრო ცხადად გამოჩნდა მიმდინარე კრიზისის დროს.

კვლევაში გაანალიზებულ იქნა ,საგადასახადო გამოწვევები რაც პანდემიის და პოსტ პანდემიის პერიოდში აქვს ჩვენს ქვეყანას და მიმოხილულ იქნა ის გადაწყვეტილებები ,რომლებმაც ნაწილობრივ უპასუხეს ამ გამოწვევებს.

მნიშვნელოვანი იყო საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული 150 ლარამდე შეღავათი, თუმცა გაუგებარია 2020 წლის ნოემბრის თვე, რომელზეც არ გავრცელდა შეღავათი და ათასობით ლარის ხარჯი მიიღეს კომპანიებმა. მისაღებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტურიზმის დახმარების პაკეტის საგადასახდო შეღავათების ნაწილი, თუმცა სამწუხაროდ ეს არ იყო მასშტაბური. ასევე პოზიტიური სიახლე იყო, იჯარასთან დაკავშირებული შეღავათი, როდესაც დარიცხვის მაგივრად საკასო მეთოდით დაბეგვრა შემოიღეს კონკრეტულ თვეებში, თუმცა ეს არ არის საკმარისი. აუცილებელი იყო და არის შეღავათიების დღგ-ზე გავრცელება, მისი რამდენიმე პროცენტით შემცირება რათა დახმარება რეალურად იყოს მასშტაბური და უფრო ხელშესახები. აუცილებელია ,ქონების გადასახადის გადავადება ან გაუქმება იმ ტიპის ბიზნესებისთვის რომელთაც, რადიკალურად შეუუმცირდათ შემოსავლები ან დაიხურნენ. ამ დრომდე გაუგებარია, საპენსიო სისტემის გამოუყენებლობა ამ პროცესში, აუცილებელია საპენსიო სისტემის სავალდებულო პრინციპთან დაკავშირებით მიდგომის გადახედვა, რადგან ამ საუკუნოვანი ტიპის კრიზის დროს გაუგებარია, სრულიად მონოლითურად ,ხელშეუხებლად გაგრძელდეს საპენსიო გადასახდელის სავალდებულობის პრიცნიპი.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო სისტემის გამოწვევები, პანდემია და ეკონომიკური კრიზისი, საგადასახადო შეღავათები, საპენსიო სისტემა, ფინანსური ანგარიშგება, ფულადი კომპენსაცია.

პანდემიის პროცესის დაწყებასთან ერთად, პირველი შოკის შემდეგ, მსოფლიოს ქვეყნებმა დაიწყეს საგადასახადო სისტემის, როგორც ბერკეტის გამოყენება, ისე რომ ეკონომიკას ნაკლები დარტყმა მიეღო. ამ პროცესში განსაკუთრებით განვითრებულმა ქვეყნებმა ,საგადასახადო

ცვლილებების მთელი წყება წარადგინეს.

ამ კუთხით, გამონაკლისი არც საქართველოა. შემუშავდა სტრატეგია, რომლის მიხედვითაც გამოიყო, ყველაზე მოწყვლადი ბიზნესები და მათზე მოხდა საგადასახადო შეღავათების პირველი განხორციელება. აღსაღნიშნია ისიც,რომ გარკვეული შეღავათი გახდა ,არა მხოლოდ სგემენტური სფეროს მიხედვით, არამედ გარკვეულ წილად, პროგრესული თვითონ გადასახადის სახეობის მიმართ; კერძოდ საშემოსავლო გადასახადის მიმართ.

პირველი მნიშვნელოვანი შეღავათები შეეხო ტურიზმის სფეროს, რომელიც შეგვიძლია დავყოთ სამი ნაწილისგან: ის ბიზნესოპერატორები, რომლებზეც შეღავათი გავრცელდა, საშეღავათო პერიოდი და საშეღავათო პერიოდით სარგებლობის პროცედურა.

2020 წლის 16 მარტს ,გამოცხადდა ტურმიზმის სექტორში დასაქმებული პირების გადასახადების გადავადების შესახებ ინფორმაცია. მათ მიეცათ უფლება, საშემოსავლო და ქონების გადასახადი გადაევადებინათ იმავე წლის პირველ ნოემრამდე, შემდეგ კი საერთოდ ჩამოაწერეს მიდინარე პერიოდში დარიცხული დავალიანებები.

შეღავათების პირველ ტალღაზე, გადასახადების გადახდის გადავადების შეღავათი შეეხო ,შემდეგი პერიოდების მიხედვით დარიცხულ გადასახადებს:

- გადახდის წყაროსთან დაკავებული გადაასახდის დეკლარაციის საფუძველზე - 2020 წლის მარტი, აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში სავადო თარიღებით დარიცხულ: თებერვლის, მარტის ,აპრილის და მაისის საანგარიშო პერიოდების გადასახადს.
- საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის საფუძველზე - 2019 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დარიცხულ საშემოსავლო გადასახადს და აღნიშნულის საფუძველზე - 2019 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დარიცხულ, საშემოსავლო გადასახადს და აღნიშნულის საფუძველზე 2020 წლის 15 მაისს, სავადო თარღით დარიცხულ მიმდინარე (საავანსო) გადასახადს.
- საწარმოს ქონების გადასახადის, წლიური დეკლარაციის საფუძველზე - 2019 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დარიცხულ ქონების გადასახადს და მის საფუძველზე, 2020 წლის 15 ივნისს სავადო თარიღით დარიცხულ ქონების (საავანსო) გადასახადს.

შეღავათი შეეხო საიჯარო მომსახურებასაც, კერძოდ კი საიჯარო მომსახურების დაბეგვრა დაიწყო არა დარიცხვის ,არამედ საკასო მეთოდით, დროის კონკრეტულ პერიოდზე.

სსკ-ის 309-ე მუხლის 113-ე ნაწილში, მიმდინარე წლის 5 იანვარს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, პირი უფლებამოსილია როგორც 2020 წლის 1 მარტიდან, 6 კალენდარული თვის (საანგარიშო პერიოდის), ასევე 2020 წლის 1 დეკემბრიდან, 6 კალენდარული თვის (საანგარიშო პერიოდის) განმავლობაში გაწეული იჯარის/ლიზინგის მომსახურებაც დღგ-ით დაბეგროს, ამ მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ,ფაქტობრივად გადახდის საანგარიშო პერიოდში.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ,სახელმწიფოს მიერ შემოღებული ფულადი კომპენსაციები, ერჯერადი 300 ლარიანი, და რამდენიმე თვიანი 200 ლარიანი კომპენსაციები.

ყველაზე მასშტაბურ შეღავათად შეგვიძლია მივიჩნიოთ, საშემოსავლო გადასახადის ნაწილისგან გათავისუფლება გარკვეული პირობებით, რომელიც შეეხო ყველა სფეროს და ყველა კატეგორიის კომპანიას. საგადასახადო შეღავათი მოქმედებდა 750 ლარამდე გაცემულ ხელფასებზე. თავდაპირველად, 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, დამქირავებელი უფლებამოსილი იყო შეემცირებინა (ბიუჯეტში არ შეეტანა) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი

საშემოსავლოგადასახადი,თუამდაქირავებულისმიერ,ამავედამქირავებლისგან1კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატებოდა. აღნიშნული შეღავათის მიზანი იყო, დამსაქმებლებს ჰქონოდათ შესაძლებლობა ,მაქსიმალურად მეტი სამუშაო ადგილი შეენარჩუნებინათ და დაქირავებული პირებისთვის აენაზღაურებინათ მათი ხელფასები.

თუმცა, ამ საგადასახადო საშეღავათო პაკეტის მიუხედავად, კვალავ რჩება უამრავი მოსაზრება, რომ სათანადოდ ეფექტურად არ იყო და არ არის გამოყენებული ქვეყნის საგადასახადო სისტემა. მაგალითისთვის, შეღავათი არ შეხებია დამატებული ღირებულების გადასახადს. გადასახადს, რომელიც ყველაზე აქტიური და მასშტაბურია საქართველოში მოქმედ 6 გადასახადს შორის, რადგან კრიზისი შეეხო ერდროულად ყველა სეგმენტს, სააფთიაქო ბიზნესის გარდა,რომელიც ისედაც გათავისფლებულია დღგ-სგან საქმიანობის დიდ ნაწილში, ვფიქრობ რომ დღგ-ს განაკვეთი უნდა გადახედილიყო და გადაიხედოს თუნდაც 2-3%-ის ფარგლებში. შესაძლო საბიუჯეტო დეფიციტი უნდა შევსებულიყო, გარკვეული სახელმწიფო პროექტების გადავადებითა და მიღებული სესხების, ამ მიმართულებით გამოყენებით. ეს იქნებოდა და იქნება ყველაზე მასშტაბური და რეალურად ეკონომიკისთვის წამახალისებელი საგადასახადო შეღავათი, რაც ერთდროულად იქნებოდა, გარკვეული შვება როგორც ბიზნესისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა უმუშევრობის დონე გაიზარდა პანდემიის პროცესში.

საგადასახადო სისტემის მორიგი გამოწვევაა ისიც, რომ პანდემიის პერიოდში მთავრობის მიერ, ეპიდემიოლოგიური ვითარების გაკონტროლების მიზნით შემოღებული შეზღუდვებით მთელ რიგ სამეწარმეო დარგებში, მეწარმე სუბიექტებს შეუჩერდათ საქმიანობა, თუმცა არ შეჩერებიათ ამ სამეწარმეო საქმიანობისთვის ,ქონების გადასახადების გადახდის ვალდებულება. მიუხედავად გარკვეული დროით გადავადებისა, მეწარმეებს მაინც დააწვათ უმძიმეს ტვირთად აღნიშნული გადასახადი, რაც ხელს უშლის მათი ეკონომიკური საქმიანობის სტაბილურობას და სამუშაო ადგილების შენარჩუნებას. ვფიქრობ რომ სახელმწიფო კეთილდღეობისთვის აუცილებელია მსგავსი ფაქტორების გათვალისწინება და ბიზნეს სუბიექტებისთვის, შეღავათის მიცემა ქონების გადასახადის ნაწილშიც.

საგადასახადო სისტემის ხარვეზი იყო ის ფაქტიც, რომ ცნობილი „150“ ლარიანი შეღავათი არ გავრცელდა 2020 წლის ნოემბრის თვეზე, რაც არაფორმალურად აიხსნა როგორც „ტექნიკური ხარვეზი“, რეალურად კი სრულებით ალოგიკური იყო ნოემბრის თვის გამოტოვება, მაშინ როცა სწორედ ეს თვე გამოირჩეოდა პანდემიის დარტყმის დიდი მასშტაბით.

ასევე პრობლემა აღმოჩნდა და არის ,სავალდებულო დაგროვებითი სისტემა, რომელიც რა თქმა უნდა ფორმალურად არ შეგვიძლია გადასახადათ მივიჩნიოთ, თუმცა იდენტური გამოწვევა იყო და არის, პანდემიის პროცესში. საპენსიო პროცენტები არამცთუ არ შემცირდა, დაბრუნდა, ან გაუქმდა დროებით, არამედ არანაირი შეღავათი არ გავრცელდა პანდემიის არცერთ მონაკვეთზე, ამ დრომდე. თუ საპენსიო სისტემის მთავარი მიზანი მოქალაქის უზრუნველყოფაა, მაშინ როდესაც მოქალაქე ყველაზე მეტად მოწყვლადია, გაუგებარია ამ ტიპის მასშტაბის მქონე კრიზისის დროს, როგორ არ მოხდა, რაიმე ტიპის საპენსიო შეღავათის დაწესება.

გაუგებარია ისიც რომ, პანდემიის პერიოდში ფაქტობრივად, ყველა ბიზნესოპერატორს კატეგორიების მიხედვით სახელმწიფო თხოვს სავალდებულო ანგარიშგების წარდგენას, ბუღალტრული აღირცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხევდელობის სამსახურში. აღნიშნული წესი მე-4 კატეგორიის საწარმოთათვის, პირველად იქნება სავალდებულო სწორედ პანდემიის პერიოდში, ეს ბიზნესისთვის არის დამატებითი საკმაოდ სოლიდური ხარჯი და შესაბამისად სტრესი, ისედაც კრიზისულ პერიოდში. ვფიქრობ ,გაცილებით მეტ სარგებელს

მოუტანს ბიზნესს და სახელმწიფოს ამ ვალდებულების გადავადება, ვიდრე პანდემიამდე დაგეგმილი მოთხოვნების შესრულება, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ უკვე საკმაოდ დაგვიანებულია ამ მიმართულებით, ცვლილებების განხორციელება.

რომ შევაჯამოთ, საქართველოს საგადასახადო სისტემას უამრავი გამოწვევა ჰქონდა და აქვს, პანდემიურ და პოსტ-პანდემიურ პერიოდში, რომელთა ნაწილზე გარკვეული პასუხი იქნა გაცემული ,თუმცა ეს იყო და არის არასაკმარისი. მისაღებია, საშემოსავლო შეღავათი, ისევე როგორც ტურიზმის სექტორის აქცენტირებული შეღავათები. იჯარის შეღავათი მათ შორის იყო ნაწილობრივი შვება, თუმცა მეორე მხრივ გაუგებარი ,რატომ არ მოხდა ფაქტობრივად არანაირი შღავათის დაწესება დღგ-სთან დაკავშირებით, რომელიც იქნებოდა რეალურად ყველაზე მასშტაბური და ხელშესახები წახალისება და გადარჩენა, უამარავი ბიზნეს ოპერატორისათვის. ასევე მიუღებელია, როგორ დარჩა სავალდებულო საპენსიო დაგროვებითი სისტემა უცვლელად პანდემიის პროცესში, როდესაც ყველაზე მეტად უჭირს მოქალაქეს, რატომ არ მიეცა არჩევანი თავად ფიზიკურ პირს ,საპენსიო პროცენტების გამოყენებასთან დაკავშირებით, ან რატომ არ გაუქმდა/შემცირდა მწვავე პანდეემის პერიოდში,საპენსიო პროცენტები.მიუღებელია ისიც, რომ მიმდინარე პერიოდში, მაშინ როცა სახელმწიფო, მცირე და საშუალო ბიზნესის გადარჩენით უნდა იყოს დაკავებული, აიძულებს ამ ტიპის ბიზნესს, კონცენტრირდნენ სავალდებულო დამატებით, საკამოდ მნიშვნელოვან ანგარიშგებებზე და გაწიონ დამატებით ათასობით ლარი, ამ ტიპის კრიზის დროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღების ინსტრუქცია. https://www.mof.ge/images/File/kompensacia/miznobrivi_socialuri_daxmareba_moqalaqeebs.pdf
2. საქართველოს ხელისუფლების ანტიკრიზისული, სოციალურ-ეკონომიკური გეგმის II ეტაპი - მიზნობრივი სოციალური დახმარება, მოქალაქეების დახმარების მიღების ინსტრუქცია. https://www.mof.ge/images/File/kompensacia/kompensaciebis-mig-instr.pdf?fbclid=IwAR1n5-NtDxN83MkT4SVK4cQhQAe6_o2SP-kR-jS9Vu4P5lsU_jPernPwPvhA
3. შემოსავლების სამსახურის ანგარიში 2020. https://www.rs.ge/Media/Default/Docs/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202020_GE.pdf
4. კომპენსაციების გაცემის წესი, შემოსავლების სამსახური. https://www.rs.ge/Covid19?cat=3&tab=1
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1043717
6. ფინანსთა მინისტრის ბრძანებები https://www.rs.ge/Legislation?cat=7&tab=1
7. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია. https://bag.ge/ge/advocacy/ongoing-topics?n=1506&i=12&m=&y=
8. KPMG ჯორჯია, ახალი კორონავირუსის გავრცელებით განპირობებული საგადასახადო ცვლილებები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. https://assets.kpmg/content/dam/kpmg/ge/pdf/2020/04/ge-ge-kpmg-georgia-tax.pdf
9. ფორბს საქართველოს, უმუშევრობა პანდემიის პირობებში – გლობალური სურათი და საქართველო. https://www.forbeswoman.ge/post/covunemployment
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმება და უმუშევრობა. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
11. ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის ზედმახედევლობის სამსახური. https://saras.gov.ge/
12. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, ანგარიშგების პორტალი. https://reportal.ge/

Challenges of the tax system of Georgia in the pandemic and post-pandemic period

Murman Tsikubadze

Free Academy of Tbilisi Assistant Professor, Doctor of Business Administration mtsikubadze@freeacademy.edu.ge

Abstract

The pandemic caused by Kovid-19 for Georgia and the world in general has become a kind of test, which has acquired a special scale and completely changed our daily lives. The pandemic affected all areas, virtually without exception, and provided a sort of test for each country and its systems.

In the process of the pandemic, the tax system became even more important in saving the country's economy, as a kind of tool, the correct use of which depends on the results that the country will get in the pandemic and post-pandemic period.The tax system is an important part of the country's economic and financial infrastructure. It is through it that financial settlement is carried out quickly, safely and reliably. This is one of the main preconditions for the proper functioning of the financial and money markets. Finally, it contributes to the stability and efficiency of the economy in general. Issues related to the improvement of the tax system are the most important issues of Georgia's economic development policy. The proper functioning of the country's economic system depends significantly on the tax policy pursued by the state and the proper functioning of the tax system. Taxes, in turn, are a tool for the state to influence the economy. Issues related to the improvement of the tax system have always been and will be the most important key issue of economic policy, it became even clearer during the current crisis. The study analyzed the tax challenges that our country faces during the pandemic and post-pandemic period, and reviewed the solutions that partially addressed these challenges.The income tax rebate of up to GEL 150 was significant, although it is unclear how the month of November 2020 was not covered and the companies received thousands of GEL in expenses. To get it we can consider it a part of the tax benefits of the tourism assistance package, however unfortunately it was not large-scale. There was also positive news, a lease rebate, when cash method of taxation instead of accrual was introduced in specific months, although this is not enough. It was necessary and is to extend the benefits to VAT, to reduce it by a few percent so that the aid is actually large-scale and more tangible. It is necessary to defer or abolish property taxes for those types of businesses that have had their revenues drastically reduced or closed. It is still unclear whether the pension system will not be used in this process, it is necessary to reconsider the approach to the mandatory principle of the pension system, because in this age-old crisis it is incomprehensible to continue the principle of mandatory payment in a completely monolithic manner.

COVID - პანდემია და ონლაინ სწავლება

მეგი მანდარია[1], ნანო გაგლოევა[2]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის აფილირებული პროფესორი,
mmandaria@freeacademy.edu.ge
[2]GIPA - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტი

ანოტაცია

2019 წელს მთელი მსოფლიო უდიდესი გამოწვევების წინაშე დადგა, ადამიანებს მოუწიათ ადაპტაცია ისეთ გარემოსთან, რომელიც აქამდე მათთვის სრულიად უცხო იყო. ცვლილება შეეხო თითქმის ყველა სფეროს და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს. როგორც უკვე აღვნიშნე, მთელ მსოფლიოში შეიქმნა ფორს-მაჟორული სიტუაცია, რომელმაც დიდი გავლენა იქონია თითქმის ყველა სფეროზე, მათ შორის მთლიანად განათლების სისტემაზე. დადგა საკითხი, ან სწავლა უნდა შეწყვეტილიყო და აკადემიური წელი გამოცხადებულიყო, რაც მნიშვნელოვან რეგრესულ ძვრებს გამოიწვევდა საგანმანათლებლო სისტემაში, ან უნდა გადასულიყო მთლიანად ონლაინ სწავლების ფორმატზე, რომლისთვისაც, პრაქტიკულად, არც ტექნიკურად და არც ფსიქოლოგიურად ვიყავით მზად.

სწორედ რომ იმ სიტუაციის გამო,რომელიც კოვიდ-19 მა შექმნა, აღნიშნული საკითხი საჭიროებდა ძალიან სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, COVID - 19, კორონავირუსი, განათლების სისტემა, ონლაინ სწავლება.

საქართველოს უნივერსიტეტებს, მაშინ როდესაც ონლაინ სწავლების გამოცდილება თითქმის არ ჰქონდათ, ძალიან მცირე დროში მოუწიათ ამ სისტემაზე გადასვლა, ბუნებრივია მაშინ როცა დროში ძალიან შეზღუდული ხარ, ადამიანებმა ჯერ კიდევ არ ვიცოდით თუ რა ტიპის ვირუსთან გვქონდა საქმე, ამგვარი სწავლების მეთოდზე გადაწყობა, შეიძლება ითქვას, ბევრად უფრო სტრესულია ვიდრე ეს ჩვეულებრივ პირობებში იქნებოდა. ის რაც, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამომავლო გეგმად ესახებოდა, რომელიც წლების განმავლობაში ეტაპობრივად და კომპლექსური მიდგომით უნდა განეხორციელებინა, უეცრად ითხოვდა ადეკვატურ რეაგირებას, კერძოდ, წლების მანძილზე განსახორციელებელი რეფორმა განათლების სისტემაში, დროის ძალიან მცირე მონაკვეთში წარიმართა. ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ფონის გამო, არ არის პარადოქსული, რომ თავი ეჩინა ბევრ გაუთვალისწინებელ ხარვეზს.

გარდა იმისა, რომ ჩვენ ყველამ საკუთარ თავზე გამოვცადეთ ონლაინ სწავლების თავდაპირველი სირთულეები რაც მოითხოვდა სწრაფ ადაპტაციას მასთან, გასათვალისწინებელი იყო აგრეთვე ის რომ ქვეყნის ყველა რეგიონში არ იყო სათანადო ონლაინ წვდომა. ამიტომ მიგვაჩნია რომ ჩვენი ქვეყნის დაბალი ან საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეობა ყველაზე მეტად დაზარალდა, რადგან ძირითადად ვერ ღებულობს მაღალი ხარისხის ინტერნეტს, (განსაკუთრებით ეს ეხება მაღალმთიან რაიონებს) ან უბრალოდ, ვერ ახერხებს ინტერნეტ პაკეტის ყიდვას. ცალკე თემაა როცა ოჯახში რამდენიმე სტუდენტი ან მოსწავლეა და შესაბამისად დგება ერთზე მეტი კომპიუტერების საჭიროება სახლში.

პანდემიაზე საუბარი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს არა მარტო სტუდენტებს, არამედ ლექტორებს შორისაც. ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ როგორც სტუდენტები, ასევე ლექტორებიც

არ იყვნენ ამ ყველაფრისთვის როგორც ტექნიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად მზად. უარყოფით ფაქტორად იყო მიჩნეული, ის მცირე დრო, რომელიც მათ მოსამზადებლად ჰქონდათ. ჩემი აზრით, დროის სიმცირე შიშის შეგრძნების გამომწვევი იყო ამ ადამიანებში და ალბათ სწორედ ამიტომაც თვლიან, რომ აუდიტორიაში ბევრად უფრო პროდუქტიულები იყვნენ ვიდრე ონლაინ.

ასევე მნიშვნელოვან უარყოფით ფაქტორად თითქმის ყველა ლექტორმა მიიჩნია, სტუდენტებისჩართულობისშემცირება.ისინიაღნიშნავენ,რომონლაინსწავლებისას,მიუხედავად იმისა,რომ სტუდენტების აკადემიური სურათი დიდად არ შეცვლილა, სტუდენტები მაინც დემოტივირებულები იყვნენ, ბევრი მათგანი სერიოზულად ვერ აღიქვამდა სწავლების ამ მეთოდს. ვფიქრობ, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ რეალურად სტუდენტებს ამგვარი სწავლების მეთოდის გამოცდილება არ ჰქონიათ და შესაძლოა სწორედ ამიტომაც ვერ აღიქვამდნენ მას სერიოზულად და ვერ აიგივებდნენ აუდიტორულ სწავლებასთან.

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია, აგრეთვე თუ როგორ ხორციელდებოდა სწავლება იმ ფაკულტეტებისთვის, რომლებიც ძირითადად პრაქტიკულ საგნებს მოიაზრებდა, კონკრეტულად, საუბარია ქიმიური ინჟინერიის ბიოტექნოლოგიების ფაკულტეტზე. საინტერესო იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან მოწვეული ლექტორის აზრი, მან აღნიშნა, რომ მიუხედავად ძალიან მონდომებული სტუდენტებისა შეუძლებელი იყო კურსი პროდუქტიული ყოფილიყო, ვინაიდან ონლაინ სწავლება შეუძლებლად მიაჩნია კონკრეტული ფაკულტეტებისთვის, მათ შორის არქიტექტურისთვის. შეიძლება ითქვას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორს მეც ვეთანხმები, რადგანაც საგნები, რომლებიც პრაქტიკულ სამუშაოს ფარავს რთულია ონლაინ ასწავლო, იგივეს ამბობენ ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილებები.

ზოგიერთი ლექტორისაგან მთავარ დადებით ფაქტორად ძირითადად დრო დასახელდა, თუმცა იყო აზრთა სხვადასხვაობა და რამდენიმე ლექტორმა აღნიშნა,რომ მისთვის დროის მხრივ არაფერი შეცვლილა და რადგან ონლაინ სწავლება სხვაგვარი ლექციის ფორმატს მოითხოვდა,სწორედ ამიტომ მათ თითქმის ყველა ლექციის განახლება მოუწიათ, თუმცა დროის მენეჯმენტის მხრივ აუდიტორული სწავლება უფრო მოსახერხებელი იყო. ამასთანავე სამართლიანად აღნიშნეს ამ საკითხის დადებითი მხარეც : მათ მოუწიათ დაფიქრება თუ როგორ შეიძლებოდა გაეხადათ კონკრეტული საგანი სტუდენტებისთვის მეტად საინტერესო. ეს მაძლევს იმის თქმის საშუალებას ,რომ სწორედ ამიტომ კოვიდ 19 მა,შეიძლება ითქვას,დადებითად იმოქმედა ზოგიერთი საგნის პროდუქტიულობაზე.

მნიშვნელოვანდადებითფაქტორადშეიძლებაჩაითვალოსის,რომსტუდენტები,რომლებიც აუდიტორიაში არ აქტიურობდნენ ონლაინ სწავლებისას მეტად გამოიჩინეს თავი, ამას სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან ლექტორები,ერთი ის,რომ ლოქდაუნის დროს სტუდენტები ძირითადად სახლში ისხდნენ და სწორედ ეს იყო სოციალიზაციის ერთადერთი საშუალება მათთვის და მეორე ის,რომ მათ მოახერხეს საკუთარი ინტერესების გადახარისხება, დაუთმეს მეტი დრო მეცადინეობას.

ასევე ერთ - ერთმა ლექტორმა აღნიშნა, რომ მთავარი უარყოფითი მხარე იყო სილაბუსების შეუსაბამობა ონლაინ ფორმატთან,ის ამაში მხოლოდ ერთ მხარეს არ ადანაშაულებს,ამბობს,რომ, როგორც უნივერსიტეტები,ასევე სამინისტრო და ლექტორებიც არ იყვნენ ამ ყველაფრისთვის მზად,მითუმეტეს არ ჰქონდათ მოსამზადებელი დრო,რამაც კიდევ უფრო მეტი ხარვეზი წარმოშვა.ჩემი აზრით,აღნიშნული სიტუაცია იმდენად უეცარი იყო ყველა დაინტერესებული

მხარესთვის რთულია კონკრეტულად რომელიმე სტრუქტურის დადანაშაულება, ბუნებრივია უკეთესი იქნებოდა განათლების სამინისტროს მეტი ჩართულობა ამ მიმართულებით,თუნდაც რეკომენდაციების სახით.

ასევე მნიშვნელოვან უარყოფით ფაქტორად თითქმის ყველა ლექტორმა მიიჩნია,სტუდენტების ჩართულობის შემცირება.ისინი აღნიშნავენ,რომ ონლაინ სწავლებისას,მიუხედავად იმისა,რომ სტუდენტების აკადემიური სურათი დიდად არ შეცვლილა,სტუდენტები მაინც დემოტივირებულები იყვნენ,ბევრი მათგანი სერიოზულად ვერ აღიქვამდა სწავლების ამ მეთოდს.ვფიქრობ,აღნიშნული გამოწვეულია იმით,რომ რეალურად სტუდენტებს ამგვარი სწავლების მეთოდის გამოცდილება არ ჰქონიათ და შესაძლოა სწორედ ამიტომაც ვერ აღიქვამდნენ მას სერიოზულად და ვერ აიგივებდნენ აუდიტორულ სწავლებასთან.

მიუხედავად ბევრი უარყოფითისა ლექტორების უმეტესობამ აღნიშნა,რომ სწორედ იმ დროს,როდესაც მთელი მსოფლიო ერთ წერტილზე გაჩერდა და „დაპაუზდა“, ონლაინ სწავლებამ მათ მისცა შესაძლებლობა განათლებაც ერთ წერტილზე არ გაჩერებულიყო. ონლაინ სწავლების მთავარ დადებით მხარედ ჩემს მიერ გამოკითხული რამდენიმე ლექტორი მიიჩნევს,შედარებით ნაკლებ ხარჯს,იმ სტუდენტებისთვის,რომლებიც რეგიონში ცხოვრობენ,რადგან ამგვარი სწავლების ფორმატისას მათ შეუძლიათ ნაკლები დანახარჯით(იგულისხმება დედაქალაქში ბინის ქირაობა და ა.შ...) ისწავლონ. მეც ვფიქრობ,რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორი ონლაინ სწავლებისა,რადგან ბევრ სტუდენტს მიეცა შესაძლებლობა დაბრუნებულიყვნენ მშობლიურ ქალაქსა თუ სოფელში და იქედან დასწრებოდნენ ლექციებს,ზედმეტი დანახარჯების გარეშე.

რაც შეეხება სტუდენტების მხრიდან ონლაინ სწავლების დადებით და უარყოფით მხარეებს,როგორც უკვე აღვნიშნე სტუდენტები დადებით ფაქტორად დროს მიიჩნევენ.შემიძლია ბევრი ვისაუბრო უარყოფით ფაქტორებზე.

სტუდენტები უარყოფით მხარედ ასახელებენ იმას,რომ ხშირი იყო ტექნიკური პრობლემები,უწევდათ მუდმივად დაძაბული ყოფნა,რადგან ზოგიერთ სტუდენტს რამდენიმეჯერ ჰქონდა შემთხვევა,როცა ელექტროენერგიის მიწოდება შეუფერხდა ან ინტერნეტი გაეთიშა და ა.შ.სწორედ აქ იკვეთება ტექნიკური პრობლემების კავშირი სტუდენტების კონცენტრაციაზე. სტუდენტების დიდი ნაწილი მნიშვნელოვან უარყოფით მხარედ ასახელებსიმასაც,რომ სწავლების ამ მეთოდმა ისინი ასოციალურები გახადა,აღარ იციან როგორ უნდა იურთიერთონ ადამიანებთან,ერთ-ერთი სტუდენტი ასევე აღნიშნავს,რომ იმდენად მიეჩვია ასე ყოფნას,მიუხედავად იმისა,რომ სწავლების ეს მეთოდი არ მოსწონს,მაინც სიამოვნებით დარჩებოდა ამ რეჟიმზე რადგანაც სერიოზული ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდება რომ ისევ აუდიტორიას დაუბრუნდეს

ასევე ნათლად ჩანს რომ დიდ უნივერსიტეტებს უფრო მეტი ხარვეზი ჰქონდა ონლაინ სწავლების მიმდინარეობისას,ბუნებრივია რაც უფრო მეტი სტუდენტი ყავს უნივერსიტეტს მით უფრო რთულია შესაბამისი რესურსების მობილიზება,რადგანაც მათ არ ჰყავდათ თუნდაც არც იმ რაოდენობის სწავლების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები და ასევე არც შესაბამისი აიტი სამსახურის რესურსი.

საინტერესოა ის ფაქტი,რომ მიუხედავად მეტი თავისუფალი დროისა, ათი გამოკითხული სტუდენტიდან ცხრა სტუდენტისთვის მეცადინეობისთვის განკუთვნილი დრო იგივე დარჩა.რაც შეეხება განათლების ხარისხს,მიიღეს თუ არა სტუდენტებმა იგივე განათლების ხარისხი,რასაც აუდიტორიაში სწავლების დროს იღებდნენ,გამოკითხული სტუდენტებიდან ექვსი სტუდენტი

თვლის რომ ონლაინ სწავლებისას ბევრად დაბალი განათლების ხარისხი მიიღო ვიდრე უნდა მიეღო,ამას სტუდენტები მოტივაციის ნაკლობობით ხსნიან. დანარჩენი 4 სტუდენტი კი ფიქრობს, რომ დაახლოებით იგივე ხარისხის განათლება მიიღეს, როგორსაც ადრე იღებდნენ.

ამრიგად,შეიძლება ითქვას,რომ კოვიდ 19 ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სტუდენტთა მოტივაციაზე,ისინი მეტად გაზარმაცდნენ,ნაკლებად პუნქტუალურები და კონცენტრირებულნი გახდნენ.

რაც შეეხება იმას,თუ რას ფიქრობენ სტუდენტები სამომავლოდ სწავლების ამ მეთოდის დანერგვაზე,გამოკითხული 10 სტუდენტიდან 8 სტუდენტი ემხრობა სწავლების ჰიბრიდულ მეთოდს,ხოლო 2 სტუდენტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან და თბილისის სამხატვრო აკადემიიდან ფიქრობს რომ მათ ფაკულტეტზე შეუძლებელია ონლაინ განათლების მიღება ამიტომ სამომავლოდ სწავლების ამ მეთოდს არ მიესალმებიან.

კონკრეტულად ონლაინ სწავლების შეფასებისას უნდა აღინიშნოს ერთი რამ :

მიუხედავად იმისა , რომ კოვიდ - პანდემიის ფონზე შესაძლოა ვერ მოხერხდა იგივე ხარისხის განათლების მიღება როგორსაც აუდიტორიაში სწავლებისას იღებდნენ სტუდენტები, მაგრამ სწორედ იმ დროს,როდესაც მთელი მსოფლიო ერთ წერტილზე გაჩერდა და „დაპაუზდა“, ონლაინ სწავლებამ მათ მისცა შესაძლებლობა განათლებაც ერთ წერტილზე არ გაჩერებულიყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლების, მ. კ. (2020 წლის 11 09). Covid-19 და განათლება. 2021 წლის 12 მაისი, საქართველოს განათლების,მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო: http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=11037;

2. Almeida, F., & Monteiro, J. (2021). The challenges of assessing and evaluating the students at distanceJournal of Online Higher Education, 3-8;

3. Bakakuri, T. (2020). Online Teaching &Learning in Georgia:Main Trends and Needs. Tbilisi: National Center For Educational Quality Enhancement;

4. Khalit1, F. M. (2020). Challenges of remote assessment in higher education in the context of COVID-19: a case study of Middle. Educational Assessment, Evaluation and Accountability., 13-16;

5. Mishraa, L., Gupta, T., & Shree, A. (2020). Online teaching-learning in higher education during lockdown period of COVID-19 pandemic. International Journal of Educational Research Open, 4-6;

6. Obiageri Bridget Azubuike, O. B., Adegboye, O., & Quadri, H. (2020). Who gets to learn in a pandemic? Exploring the digital divide in remote learning during the COVID-19 pandemic in Nigeria. International Journal of Educational Research Open, 4-7;

7. Ouajdouni, A., Chafik, K., & Boubker, O. (2021). Measuring e-learning systems success: Data from students of higher education institutions. ELSEVIER, 3-7;

8. Ripoll, V., Ojer, M. G., & Calzada, J. (2021). Teaching chemical engineering to biotechnology students in the time of COVID-19: Assessment of the adaptation to digitalization. Education for Chemical Engineers, 6-10;

9. საქართველოს განათლების, მ. კ. (2020 წლის 11 09). Covid-19 და განათლება. მოპოვებული 2021 წლის 12 მაისი, საქართველოს განათლების,მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო: http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=11037.

COVID - andemic and online training

Maggie Mandaria[1] , Nano Gagloeva[2]

[1]Free Academy of Tbilisi Affiliated Professor
[2]GIPA - Institute of Public Affairs Student

Abstract

As we know, 2020 and 2021 have been tough two years of quarantine and social distancing which were caused by the covid-19, also known as corona virus. And in order to prevent the spreading of the virus, we had to continue studying online. It's been a whole year since everybody got used to online studying. That is why everybody thinks that
Online learning is just as challenging, insightful, and thought-provoking as classroom-based learning – you will cover the same content, taught by the same instructors. With distance learning, you save on various costs like fuel, books,and many more. Distance learning programs are self-paced, they can provide you the chance to complete your study in less time and it cost lower educational costs.

On the other hand, online learning has many disadvantages too. For example- lack of social interaction. It's a different kind of feeling when you interact with someone, have a conversation with them, as some say communication is the key, but with online studying there's no social interactions. It's also kind of depressing, sitting in room alone, staring at the screen and not interacting with anybody at all. No social interaction causes the loss of motivation. In distance learning, learners do not need to attain classroom physically. They are isolated and therefore they are not able to get some sort of interaction with their other fellows in the course. While in the traditional method of learning, the learners get the opportunity to have an environment which gives them the challenge to perform better. In distance learning, these all factors are not available and can be not favorable for many students. Also, some students do not have access to computers or wi-fi and that's a huge disadvantage or them. Students may not have a quiet space to work, which many need in order to concentrate, stay on task.

So, in conclusion an online mode of study is a fusion of technology and education. It indicates how well an education system can take advantage of new technology and strive for growth and improvement, however it also has many disadvantages and such as lack of internet connection, access to computers or technology in general.

Keywords: pandemic, COVID - 19, coronavirus, education system, online learning.

COVID – 19 Pandemic Impacts On Higher Education in Georgia

Anzhela Abuladze

Free Academy of Tbilisi Head of Quality Management Service, PHD Student of Education Sciences, quality@freeacademy.edu.ge

Abstract:

The article discusses the global impact of the Covid-19 pandemic on online higher education, challenges and opportunities of online and blended learning. The article analyzes and evaluates the importance of introducing digital technologies in higher education institutions and ensuring the quality of the teaching / learning process. This article discusses how Georgia has adapted to the new reality.

Keywords: Covid-19 Pandemics, higher education, online and blended education, quality assurance, digital technologies, monitoring, digitalization.

The rapid growth of information and communication technologies has penetrated in every sphere of human life and the education system is no exception. Covid-19 pandemic accelerated the process and turned traditional learning into distance learning.

Covid - 19 the pandemic has put the whole world in front of a new reality, including Georgia. institutions of Higher education have faced serious challenges. distance learning was the only safe way to continue the learning process. Many developed countries around the world have already adapted to online learnings, but this experience did not exist in Georgia before and consequently, the situation turned out to be much more difficult. However, it's notable that the introduction and development of digital technologies in higher education institutions in Georgia in recent decades has facilitated Internet-based learning in the context of the Covid-19 pandemic. The Law on Higher Education has been amended and the term "distance learning" has been added. It became necessary to plan the curriculum properly, use appropriate approaches and methods to organize and conduct the learning process.

The Covid - 19 pandemic has had a global impact on the implementation of online and digital higher education, learning and assessment in higher education. The pandemic has facilitated the digitization of higher education institutions, revealing both the potential and benefits of online learning, as well as the disadvantages.

The content and outcomes of online and blended learning programs should be analogous to those of traditional educational programs and should lead to exactly the same outcome as traditional educational programs. Implementing distance learning requires appropriate teaching/learning and assessment methods, appropriate infrastructure, use of resources and digital technologies, readiness of students and academic staff, and appropriate quality assurance standards.

Current programs of the institutions of higher education in Georgian are accredited by the standards of ensuring the quality of traditional, face-to-face teaching, which does not provide for the implementation of online teaching. Consequently, there should be no expectation that the replacement of traditional-fitted accredited educational programs with online training will fully meet the quality assurance requirements. Switching to full-time distance learning in a force majeure situation obviously caused some

inconvenience, as there were infrastructural problems in the country, higher education institutions were not equipped with distance learning technologies, many students did not have access to the Internet, which caused huge anxiety and dissatisfaction among the students, there was no electronic literature, the Academic staff didn't have sufficient knowledge and skills to use technology in the learning process. However, it should be kept in mind, that the state has adapted to the new reality. Various learning platforms have been set up, curricula and assessment systems have been modified in line with e-learning and the National Center for Educational Quality Enhancements has developed an e-learning quality support document for universities.

It should be noted that the Covid-19 pandemic has significantly hindered the normal functioning of educational institutions. It's necessary to pursue a clear quality assurance policy of the university, which will be in accordance with the national framework. Challenges originally arose from logistics, inadequate hardware and software as a result of the curriculum and assessment. A large proportion of the academic staff and students met the distance learning unprepared. Lack of access to digital devices and the internet has revealed digital persistent problems. Many institutions didn't have strong online programs, sufficient teaching and technology staff, relevant course development processes and well-structured support mechanisms for students.

Based on the above, distance learning is both a challenge and an opportunity. To facilitate distance learning and to ensure a high quality of teaching/learning effectiveness, it is important to monitor distance learning. Higher education and quality assurance need to move into a new context and need to become more flexible.

Bibliography:

1. ბაქრაძე, ლ. ახალი საგანმანათლებლო რეალობა; Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი, 2020;
2. Cirlan e., Loukkola T. Internal Quality Assurance in time of Covid 19, 2021;
3. Ramirez-Hurtado L, Perez-Leon E., Measuring Online Teaching Service quality in Higher Education in the COVID – 19 environment, 2021;
4. Nworie, J. Beyond COVID – 19: What's next for Online Teaching and Learning in Higher Education, 2021.
5. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (კოდიფიცირებული) https://matsne.gov.ge/document/view/32830?publication=85;
6. Higher education opportunity act. 2008. SEC. 103. ADDITIONAL DEFINITIONS https://www2.ed.gov/policy/highered/leg/hea08/index.html;
7. ENQA (2018). Considerations for quality assurance of e-learning provision Report from the ENQA Working Group VIII on quality assurance and e-learning https://enqa.eu/indirme/Considerations%20for%20QA%20of%20e-learning%20provision.pdf
8. EUA (2014). E-Learning in European higher education institutions https://eua.eu/resources/publications/368:e-learning-in-european-higher-education-institutions.html.

მომხმარებელთა უფლებები დისტანციური გაყიდვების პროცესში, პანდემიურ და პოსტ-პანდემიურ პერიოდში

მურმან ციქუბაძე[1], ანასტასია ქუბრიაშვილი[2]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასისტენტ პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, tsikubadzemurman@gmail.com
[2]თბილისის თავისუფალი აკადემიის სტუდენტი, aniqubriashvili@gmail.com

ანოტაცია

სტატია შეეხება დღევანდელ 2021 წლის რეალობას და მასთან დაკავშირებულ პოსტ-პანდემიურ გამოწვევებს. კონკრეტულად კი, მომხმარებლებს და მათ უფლებებს დისტანციური გაყიდვების პროცესში. ასევე შევეხებით მათ ქცევას ბაზარზე მიმდინარე სიტუაციაში. სტატიის თემა არის „მომხმარებელთა უფლებები დისტანციური გაყიდვების პროცესში, პანდემიურ და პოსტ-პანდემიურ პერიოდში.“ უდავოდ საყურადღებოა ეს ასპექტიც მიმდინარე ფორსმაჟორულ სიტუაციაში, რომელიც კორონა ვირუსითაა გამოწვეული. უამრავი ცვლილებისა და გლობალური გამოწვევის წინაშე დადგა მსოფლიო, რომლის წინაპირობაც გრძელვადიანი თვითიზოლაცია გახდა, ამიტომ როგორც კომპანიებმა ასევე მომხმარებლებმაც დაიწყეს რეაგირება არსებული მდგომარეობის დასაძლევად.

მოვლენების განვითარების მიხედვით, შესაძლო გახდა იმის განსაზღვრა თუ როგორ შეიცვალა მომხმარებლების ქცევა ამა თუ იმ პრდუქციის შეძენისას დისტანციური გაყიდვების პროცესში. პანდემიამ მსოფლიოში მთელი ინდუსტრიები, კომპანიები შეცვალა. მომხმარებლები იძულებული გახადა ონლაინ შოპინგზე გადასულიყვნენ და ისინი საგანგაშო მდგომარეობის შექმნის მოლოდინთან ერთად ულტრაფრთხილ ადამიანებად აქცია. ამ შემთხვევაში ბიზნესის მთავარი ამოცანა მხოლოდ ის გახდა რომ მსოფლიო პანდემიის პერიოდში ბრენდები თუ სხვადასხვა სახის მომსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს მოარგო. თუმცა ამ ვითარებაში მრავალჯერ ირღვევა მომხმარებლის უფლებები კომპანიებისა თუ მიტანის სერვისის მიერ. სწორედ ამ პრობლემას შევეხები ამ სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: მომხმარებლთა უფლებები, დისტანციური გაყიდვები პანდემიის პროცესში, მიწოდების სტანდარტი, მომხმარებელთა ინტერესი.

გლობალურმა პანდემიამ, რომელსაც მსოფლიო მასშტაბით ებრძვიან, ყველა დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა. ადამინებს თანაბრად აწუხებთ ის, თუ როგორ გაუმკლავდებიან ბიზნესთან დაკავშირებულ კრიზისს. შექმნილმა ვითარებამ ასევე დიდი გავლენა იქონია ადამიანებს შორის ურთიერთობაზე. პანდემიამ ადამიანებს უბიძგა თავიანთი ქცევა შეეცვალათ და ადაპტირებულიყვნენ გარემო ფაქტორებთან. მომხმარებლის ქცევა პანდემიამდეც საგრძნობლად იყო შეცვლილი, რაც განპირობებულია ტექნოლოგიური ევოლუციით. ტექნოლოგიურმა წინსვლამ და განვითარებამ შეცვალა პროდუქტისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვის გზები. მიმდინარე პროცესების პარალელურად ჩნება კითხვებიც: რამდენად არის დაცული ადამიანის, როგორც ამათუიმ ინსტირუციისა თუ კომპანიის მომხმარებლის უფლებები? ექცევა თუ არა სათანადო ყურადღება დისტანციურ რეჟიმშიც კი მათ სრულყოფილ მომსახურებას ? მიდის თუ არა პროდუქტი მომხმარებლამდე უვნებელი? ან საერთოდ თუ მოხდება პროდუქციის მიწოდება მომხმარებლამდე. მიუხედავად იმისა რომ მომხმარებბლის მოტყუება კანონით ისჯება, ბოლო პერიოდში ამ სფეროს რეგულირება რთულია, დისტანციური გაყიდვების პროცესში. სულ უფრო მეტი ადამიანი გამოთქვამს უკმაყოფილების ამ უკანასკნელზე და არა ერთ ისტორიას ვაწყდებით სოციალურ ქსელში ამის შესახებ.

1. აქვე უნდა ვახსენოთ ისიც, რომ შემუშავებულია „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ'' რეგლამენტი.

2. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ რომ მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე 2013 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა. USAID-ის „მმართველობა განვითარებისათვის პროექტის'' ფარგლებში 2016 წელს დაიწყო მუშობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტზე. ხელშეკრულების ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები საქართველოს მიერ მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით ნაკისრი ვალდებულებებია.

3. რადგან გლობალურ პრობლემაზეა საუბარი, გავცდეთ ჩვენი ქვეყნის საზღვარს და გავიხსენოთ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე - 15 მარტი, რომელიც მსოფლიო კალენდარშია აღნიშნული. ეს თარიღი 1962 წლიდან ჯონ კენედის ინიციატივას უკავშირდება, რა დროსაც მან მომხმარებელთა უფლებებზე ისაუბრა. დღეისათვის კი უფლებების სია ასე გამოიყურება:

- ხელმისაწვდომობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქციასა და მომსახურებაზე;
- ინკლუზიურობა - მომხმარებელთა მოწყვლადი ჯგუფების დაცვა;
- უსაფრთხოება - ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკებისაგან დაცვა;
- ეკონომიკური ინტერესების დაცვა-მოტყუებისა და მატერიალური ზიანის რისკებისაგან დაცვა;
- ამომწურავი ინფორმაციის მიღების უფლება - მკაფიო და ზუსტი ინფორმაცია სწორი აჩევანის გასაკეთებლად;
- სამომხმარებლო განათლების მიღების უფლება- დახმარება ამა თუ იმ სამომხმარებლო ქცევის შედეგების გაგებაში;
- ანაზღაურება - დავების მოგვარებისა და ზიანის ანაზღაურების ეფექტიან მექანიზმებზე წვდომა;
- მდგრადობა;
- მდგრადი მომხმარებლის პოპულარიზაცია;
- ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული უფლებები -მომხმარებელთა თანაბარი დაცვა, როგორც ტრადიციული, ისევე ონლაინ ვაჭრობისას;
- პერსონალური ინფორმაცია
- მომხმარებლის პერსონალური ინფორმაციის დაცვა.

2015 წლიდან კი, საქართველოს ენერგოომბუდსმენის აპარატი შეუერთდა ამ დღის აღნიშვნის ტრადიციას და ყოველწლიურად ხორციელდება არაერთი აქტივობა, რომელიც მომხმარებლის უფლებების დაცვის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.დღევანდელ პოსტ-პანდემიურ რეალობაში ხშირადვაწყდებით ზემოთ ხსენებულის უფლებების დარღვევას. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში ვერ ვიღებთ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას იმის შესახებ თუ რამდენხანში მოვა ჩვენამდე შეკვეთილი პროდუქტი. ასევე აქტუალურია მომხმარებლის ეკონომიკური ინტერესების დაცვის უგულებელყოფა. დისტანციური გაყიდვების პროცესში მოტყუება და მატერიალური ზიანის რისკი ხშირია. ისტორიები ამის შესახებ ბევრს გადაგვხდენია, ან გაგვიგია მაინც. როდესაც მომხმარებლის უფლებებს ვახსენებთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის პერსონალური

ინფორმაცია. რომელიც უფრო მეტად არის თვალსაჩინო დისტანციური გაყიდვების პროცესში. თუმცა საბედნიეროდ უნდა აღინიშნოს რომ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ იხვეწება და განვითარების პროცესშია, ამის გათვალისწინებით კი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივიწევთ ამ საკითხში და კომფორტულთან ერთად უფრო მეტად უსაფრტხოც ხდება დისტანციური გაყიდვების პროცესი.

პანდემიის პროცესში ონლაინ გაყიდვები, ხშირ შემთხვევაში გახდა გადამწყვეტი მრავალი კომპანიების ფუნქიონირებისათვის, ამას კი მრავალი მიზეზი აქვს:

- მომხმარებლის მოლოდინი – განსაკუთრებით პანდემიის პროცესში, მომხმარებელს გააჩნია გარკვეული მოლოდინები სხვადასხვა კომპანიის მიმართ, ჩვეულებრივ იგი ელის ნებისმიერი ორგანიზაციისგან მინიმუმ ვებ საიტისა და სოციალური მედია გვერდების ქონას და როდესაც ვერ აღმოაჩენს მათ, ექმნება ნეგატიური წარმოდგენა.
- კონკურენტები – კომპანიის კონკურენტები ახორციელებენ ინტერნეტ გაყიდვებს, თანაც საკმაოდ ეფექტურად, შესაბამისად ისინი კლიენტებს შოულობენ იქ, სადაც ზოგიერთი კომპანია ჯერ არ არის და ამას აკეთებენ მინიმალური დანახარჯებით, რადგან ინტერნეტ გაყიდვები კლიენტების მოზიდვის ყველაზე იაფი საშუალებაცაა.
- ხელმისაწვდომობა – ინტერნეტის დახმარებით, რეკლამის განხორციელება ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდა დღეს, ვიდრე იყო აქამდე. თუ ადრე რეკლამირების განხორციელება დიდ ფინანსებს საჭიროება და მხოლოდ დიდი სარეკლამო ბიუჯეტის მქონე ბიზნესისთვის იყო ხელმისაწვდომი, ინტერნეტმა ყველას მისცა საშუალება განახორციელოს ეფექტური სარეკლამო კამპანიები, მინიმალური დანახარჯებით.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, პანდემიის პირობებში წარმატების მისაღწევად, ინტერნეტ გაყიდვები უამრავი კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
   https://matsne.gov.ge/ka/document/view/63556?publication=0
2. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა)
   https://law.ibsu.edu.ge/api/uploads/Consumer-Law.pdf
3. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი - მომხმარებელთა უფლებების დაცის საერთაშორისო დღე
   http://pdci.ge/geo/news/show/9/210

Consumer Rights in distance Sales, Pandemic and Post-Pandemic Periods

Murman Tsikubadze[1], Anastasia Kubriashvili[2]

[1]Free Academy of Tbilisi Assistant Professor Doctor of Business Administration, mtsikubadze@freeacademy.edu.ge

[2]Free Academy of Tbilisi student, akubriashvili@freeacademy.edu.ge

Abstract

The article deals with the current reality of 2021 and the related post-pandemic challenges. Specifically, consumers and their rights in the process of remote sales. We will also touch on their behavior in the current market situation. The topic of the article is "Consumer rights in the process of remote sales, pandemic and post-pandemic." Undoubtedly, this aspect is also noteworthy in the current force majeure situation caused by the corona virus. The world has faced many changes and global challenges, the precondition of which has become long-term self-isolation, so both companies and consumers have begun to respond to overcome the current situation.

As events unfolded, it became possible to determine how consumer behavior changed when purchasing this or that product during the distance selling process. The pandemic has changed industries and companies around the world. Consumers were forced to switch to online shopping and they became ultra-smart people in anticipation of creating an alarming situation. In this case, the main task of the business was only to adapt the brands or various services to the public interest during the global pandemic. However, in this situation, the rights of the customer are violated many times by the companies or the delivery service. This is the problem I will address in this article.

ქართული საზოგადოებრივი ცნობიერება და covid-საინფორმაციო ველი

ელიზბარ ელიზბარაშვილი

თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი ფილოსოფიის დოქტორი

elizbar.elizbarashvili@yahoo.com

ანოტაცია

იმანუელ კანტი 1784 წელს სტატიაში - „რა არის განმანათლებლობა“ - წერს: “განმანათლებლობა – ესაა ადამიანის გამოსვლა უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ბრალია. უმწიფრობა არის უუნარობა, საკუთარი განსჯა სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე მოიხმარო. უმწიფრობა საკუთარი თავის ბრალია მაშინ, როცა მისი მიზეზი განსჯის ნაკლულობაში კი არა, გადაწყვეტილებისა და სიმამაცის არქონაში ძევს. Sapere Aude! გაბედე საკუთარი განსჯის გამოყენება! – ესაა განმანათლებლობის ლოზუნგი”. იმანუელ კანტს ამ სტატიაში შემოაქვს „უმწიფრობის“ ცნება, რომლითაც ახასიათებს მასობრივად თავის ეპოქაში საზოგადოებაში არსებულ ინდივიდებს. „უმწიფრობის“ შესატყვისი გერმანული ტერმინი unmündig მოდის სიტყვიდან Mund (პირი) და გულისხმობს ადამიანს, რომელსაც საკუთარი სახელით ლაპარაკი არ შეუძლია. კანტი ხაზს უსვამს, რომ უმწიფრობა მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც მისი მიზეზი „განსჯის ნაკლულობაში“, ანუ ლოგიკური აზროვნების წარმართვის უუნარობაში, ან განათლების უქონლობაში კი არაა, არამედ გადაწყვეტილების მიღების უუნარობაში და „სიმამაცის“ არქონაში. შემდგომ აბზაცში იგი აზუსტებს - „სიზარმაცე და სილაჩრე – ესაა მიზეზები, რომელთა გამოც ადამიანთა დიდი ნაწილი, მას შემდეგ, რაც ბუნებამ ისინი კარგა ხნის წინ გაათავისუფლა უცხო ხელმძღვანელობისგან, მიუხედევად ამისა, მთელი ცხოვრება უმწიფრად რჩება.“ ანუ „უმწიფრობა“ კანტისათვის არის პიროვნული თვისება და არა ინტელექტუალური, არავითარ კავშირში იგი არაა თეორიულ (IQ) ან ემოციურ (EQ) ინტელექტთან - ეს არის ადამიანის უუნარობა მიიღოს გადაწყვეტილება და დაიწყოს, გაბედოს დამოუკიდებლად აზროვნება, რომელსაც ახლავს შიშის და სიზარმაცის დაძლევა, რისკი და შრომა. უმწიფარი ადამიანი ყოველთვის ვიღაცის ხელმძღვანელობით ცხოვრობს, ფიქრობს, იღებს გადაწყვეტილებებს. მათ კანტი „მეურვეებს“ უწოდებს. „მეურვე“ გერმანულად არის Vormünder, ანუ ის, ვინც სხვის მაგივრად, სხვისი სახელით ლაპარაკობს. „და რომელთა გამოც ამ ადამიანთა მეურვეებად ადვილად იქცევიან ხოლმე სხვები. უმწიფრობაში ყოფნა ძალზე კომფორტულია. თუ მაქვს წიგნი, რომელიც განსჯას შემიცვლის, მოძღვარი, რომელიც სინდისის მაგივრობას გამიწევს, ექიმი, რომელიც დიეტას ჩემს მაგივრად განსაზღვრავს და ა. შ. – მაშინ საკუთარი ძალისხმევა აღარ მჭირდება. არ მჭირდება აზროვნება, თუ შემიძლია ფულის გადახდა – სხვები ჩემს მაგივრად შეასრულებენ მოსაბეზრებელ სამუშაოს. მეურვეები, რომლებმაც ასე კეთილად აიღეს საკუთარ თავზე ზედამხედველობის საქმე, იმაზე ზრუნავენ, რომ ადამიანთა უდიდესმა ნაწილმა (მათ შორის მთელმა მშვენიერმა სქესმა) ეს რთული ნაბიჯი სიმწიფისკენ საშიშადაც ჩათვალოს. მას შემდეგ, რაც მეურვეებმა საკუთარ შინაურ პირუტყვს ჯერ ჭკუა გამოაცალეს და საგულდაგულოდ უზრუნველყვეს, რომ ეს მშვიდი არსებანი ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამენ საბავშვო ეტლის გარეშე, რომელშიც ჩაკეტილები არიან – ყოველივე ამის შემდეგ ისინი მათ საფრთხეს აჩვენებენ, რომელიც ემუქრებათ, თუ მარტო გავლას შეეცდებიან. არადა, ეს საფრთხე ასე დიდი სულაც არ არის, რადგან რამდენიმე დაცემით ისინი, საბოლოო ჯამში, სიარულს ისწავლიდნენ. მაგრამ ამ სახის მაგალითი გაუბედავობას იწვევს და ადამიანებს, ჩვეულებრივ, შიშის გამო სხვა მცდელობებზე ხელს აღებინებს“ - წერს ი.კანტი სტატიაში. ასე ყალიბდება ცხოვრების მანძილზე უმწიფარი ადამიანი, რომელიც უკვე ეჩვევა ასე ცხოვრებას და უმწიფარი საზოგადოება, რომელიც შედგება უმრავლესად ასეთი ინდივიდებისაგან. სტატიაში ვკითხულობთ - „ასე რომ, ყოველი ცალკეული ადამიანისთვის რთულია, გამოაღწიოს მისთვის ლამის უკვე ბუნებად ქცეული უმწიფრობისგან. მან ეს მდგომარეობა თითქმის უკვე შეიყვარა და თავიდან მართლაც არ ძალუძს საკუთარი განსჯის მოხმარება, რადგან მისთვის არასოდეს მიუციათ ამისი ცდის შესაძლებლობა“.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოებრივი ცნობიერება, covid-საინფორმაციო ველი, მედია, ძალაუფლება.

ვინ ევლინებოდა უმწიფარ ინდივიდებს და უმწიფართა მასას ძირითადად მეურვეებად

და აზროვნების ხელმძღვანელებად კანტის ეპოქაში? - ეს იყო საზოგადოების სასულიერო და სოციალ-პოლიტიკური ძალაუფლების მქონე ფენა. უმწიფარი ინდივიდები მათ უმორჩილებენ თავიანთ აზროვნებას, ამჯობინებენ დარჩნენ მეურვეთა კონტროლის ქვეშ, რადგან ჰგონიათ რომ მორჩილება ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა. თავის მხრივ კი ეს მეურვეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ინდივიდები და საზოგადოების ცნობიერება არ გამოვიდეს ამ უმწიფრობის მდგომარეობიდან და მაქსიმალურად მყარად დარჩეს მასში: „ყველა მხრიდან ეს მესმის: „ნუ მსჯელობთ!“. ოფიცერი ამბობს: „ნუ მსჯელობთ, ივარჯიშეთ!“ ფინანსთა სამინისტროს მრჩეველი: „ნუ მსჯელობთ, გადაიხადეთ!“ სასულიერო პირი: „ნუ მსჯელობთ, იწამეთ!“ აქ ყველგან თავისუფლების შეზღუდვას აქვს ადგილი“. ასევე მეურვეები ქმნიან გარკვეულ დადგენილებებს და ფორმულებს, რომლითაც ცხოვრებას აიძულებენ ადამიანებს: „დადგენილებები და ფორმულები, მისი ბუნებრივი ნიჭის გონებრივი გამოყენებისა ან, უფრო სწორად, ვერგამოყენების ეს მექანიკური ინსტრუმენტები, მუდმივი უმწიფრობის ბორკილებია. ისიც, ვინც ამ ბორკილებს მოიშორებს, ყველაზე პატარა ორმოსაც კი არამტკიცე ნახტომით თუ გადაევლება თავს, რადგან არაა მიჩვეულ თავისუფალ მოძრაობას.

ამიტომაც არის მცირე მათი რიცხვი, ვინც საკუთარ გონზე მუშაობით წარმატებას მიაღწიეს უმწიფრობიდან მტკიცე ნაბიჯით გამოღწევის საქმეში“.

იმანუელ კანტი სტატიის დასაწყისში წერს რომ „განმანათლებლობა – ესაა ადამიანის გამოსვლა უმწიფრობიდან“. საზოგადოების და მისი ცნობიერების განვითარება სწორედ ამ მდგომარეობის დაძლევა და თავისუფალ, ინდივიდუალურ აზროვნებაზე გადასვლაა. ამის ყველაზე ძლიერ ინსტრუმენტად კი (გარდა ინდივიდუალურ დონეზე გამბედაობისა და შრომისა) „გონების საჯარო გამოყენებაა“. ავტორი წერს - „ამ განმანათლებლობისთვის მხოლოდ თავისუფლებაა საჭირო, თანაც ყველაზე უწყინარი მათ შორის, რასაც თავისუფლება შეიძლება ეწოდოს, კერძოდ კი: თავისუფლება საკუთარი განსჯის საჯარო მოხმარებისა ყველა საკითხში.“ და აგრძელებს - „საჭიროა კოლექტიური გათავისუფლება და ემანსიპაცია იმისათვის, რომ ადამიანი ზრდასრული გახდეს ანუ თავისი განსჯის გამოყენება შეძლოს. მაგრამ ამისათვის საჭიროა არსებობდეს გონების საჯარო გამოყენების შესაძლებლობა“.

გონების საჯარო გამოყენება კანტისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გონებისავე კერძო გამოყენება. რაშია განსხვავება? იგი განმარტავს – „როდესაც ოფიცერი მთავარსარდლის ბრძანებას ასრულებს, მას არ აქვს უფლება, დაიწყოს მსჯელობა, რამდენად სწორია ეს ბრძანება და რამდენად მიზანშეწონილია მისი შესრულება. მაგრამ თუ ოფიცერი მოინდომებს მეცნიერული ნაშრომის გამოქვეყნებას, სადაც გაანალიზებს ომის მსვლელობისას მთავარსარდლის მიერ დაშვებულ შეცდომებს, მას ამის სრული უფლება ექნება და სწორედ ეს იქნება გონების საჯარო მოხმარება.

მეორე მაგალითი: მოქალაქეს არ აქვს უფლება, არ გადაიხადოს გადასახადები, თუნდაც მათ უსამართლოდ თვლიდეს. მაგრამ მას უნდა ჰქონდეს უფლება, გააკრიტიკოს არსებული საგადასახადო სისტემა საჯაროდ. სწორედ ეს კრიტიკა იქნება გონების საჯარო გამოყენება“.

მაშასადამე გონების საჯაროდ გამოყენება არის ყველა იმ საკითხებზე საზოგადოების წინაშე ღიად მსჯელობა, რომელსაც ჩათვლის პიროვნება საჭიროდ, ისე რომ არ დაუპირისპირდეს ქმედებით სახელმწიფოს კანონმდებლობის შესრულებას. გონების საჯარო გამოყენება კანტისათვის არის განმანათლებლობის გზა, რომელიც საზოგადოების და მისი ცალკეული ინდივიდის ცნობიერებას აამაღლებს უმწიფრობიდან დამოუკიდებელ, თავისუფალ აზროვნებამდე, როდესაც პიროვნებები მიაღწევენ სიმწიფეს და გაბედავენ მეურვეების გარეშე

ფიქრს და გადაწყვეტილებების მიღებას.

დასასრულისაკენ იმანუელ კანტი მიუთითებს თავისი თანამედროვე საზოგადოების კონტროლის და მეურვეობის მთავარ სფეროზე - „მთავარ საკითხად რელიგიის სფერო მივიჩნიე, რადგან ხელოვნებათა და მეცნიერებებთან დაკავშირებით ჩვენს მმართველებს არ აქვთ ინტერესი, მეურვეების როლის შეასრულონ.“

იმანუელ კანტის მიერ წარმოდგენილი ანალიტიკური მიდგომის გამოყენებით ჩვენ ვაანალიზებთ და ვაფასებთ თანამედროვე საზოგადოებებს გლობალურ კორონასიტუაციასთან მიმართებაში. საზოგადოებები, რომელთაც გამოიარეს უახლოეს წარსულში მძიმე და ხანგრძლივი წარსული ტოტალიტარიზმის სახით, მათში არსებული ინდივიდუალური ცნობიერება არის უფრო მეტად კანტისეული გაგებით უმწიფარ მდგომარეობაში ჩაყენებული. უფრო მეტიც - ხანგრძლივმა ასეთმა მდგომარეობამ, შეგუებამ და ცხოვრების წესმა ასეთ საზოგადოებების ცნობიერებას შეასისხლხორცა უმწიფრობის ცნობიერების მდგომარეობა. ამას ვიტყვით პირველ რიგში ტოტალიტარული დიდი წარსულის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, კომუნისტური მმართველობის ჩინეთზე, ირანზე და სხვა. განსხვავებით მათგან დასავლური ცივილიზაციის ქვეყნები, რომელთაც გამოვლილი აქვთ განმანათლებლობის ეპოქა და არც უახლოეს წარსულში არიან დამძიმებულები ტოტალიტარული წარსულით, უფრო გამოირჩევიან უმწიფრობის დაძლევით, როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოებრივი ცნობიერების დონეზე. ამ გზაზე განსაკუთრებით წინ იმყოფებიან საფრანგეთი და აშშ.

როგორია დღეს ქართული საზოგადოებრივი ცნობიერება? - კანტისეული ტერმინით - უმწიფარი. ანუ საკუთარი გონების გამოყენების სიზარმაცე და გაუბედავობა ახასიათებს მასობრივად მოსახლეობას. ინდივიდებს მეურვის გარეშე არ შეუძლიათ საკუთარი განსჯა გამოიყენონ, თავად იფიქრონ დამოუკიდებლად და დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები. საქართველოში მოსახლე მრავალ პიროვნებას სურს არა თავის რისკის ფასად შეაფასოს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე კორონასიტუაციის გლობალური მოვლენები და თავისი რისკის ფასად და თავისი ანალიტიკური შრომის შედეგად მიიღოს გადაწყვეტილებები, არამედ მიენდოს ვინმეს, პასუხისმგებლობა მას გადააბაროს, დაემორჩილოს მეურვეს და კონტროლირებადი იყოს მისგან, იცხოვროს სხვისი ხელმძღვანელობით, რადგანაც ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს არასოდეს უსწავლია დამოუკიდებლად ფიქრი და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, საკუთარი განსჯის უნარის მეურვის გარეშე გამოყენება. ეს მათთვის ძალზე სახიფათოდ გამოიყურება. ეს არის წარსულის შედეგი, რაც გამოიარა ამ საზოგადოებამ 1921 წლის მერე კომუნისტურ, ტოტალიტარულ რეჟიმში ცხოვრებისას და შემდეგ 30 წელი კაპიტალისტური დაკაბალების პირობებში სიდუხჭირეში არსებობამ, რომელმაც ჩვენში თავისუფალი აზროვნების გარემო ვერ შექმნა.

ვინ წარმოგვიდგება შესაბამისად დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში მეურვეთა ფენად? - სოციალ-პოლიტიკური და მედიაძალაუფლების ჯგუფები. ეს არის პოლიტიკური კლასი და მედიამედიცინის წარმომადგენლები. კანტის ეპოქისაგან განსხვავებით თანაედროვე სამყაროში მმართველებს აქვთ ინტერესი მეცნიერებასთან დაკავშირებით, კონკრეტულად მედიცინის მეცნიერებასთან დაკავშირებით, როგორც კანტის დროს ჰქონდათ რელიგიასთან დაკავშირებით. საზოგადოების ამ სეგმენტს სურს დანარჩენებს მოევლინონ აზროვნების ხელმძღვანელებად, რომ დანარჩენებმა მათი კონტროლით იცხოვრონ და მიიღონ გადაწყვეტილებები. ისინი აკეთებენ ყველაფერს რომ ადამიანთა დიდი მასა არ გამოვიდეს ამ უმწიფრობის მდგომარეობიდან და არ დაიწყონ საკუთარი განსჯის უნარის დამოუკიდებელი გამოყენება და ამით არ შეიცვალოს

მთლიანი საზოგადოებრივი ცნობიერება. ასევე წარმოდგენილი სახელისუფლებო-მედიაფენა თავისი ისეთი დადგენილებებით და ფორმულებით, როგორებიცაა კოვიდსიტუაციის დროს სხვადასხვა გაიდლაინები და პროტოკოლები, რომლითაც ცხოვრებას აიძულებენ ადამიანებს, ქმნიან დამოუკიდებელი აზროვნების ვერგამოყენების „მექანიკურ ინსტრუმენტებს“ ანუ „უმწიფრობის მუდმივ ბორკილებს“.

ასევე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ეს, საზოგადოებისათვის მეურვეობის სურვილის მქონე ფენა, ყოველგვარად აფერხებს „გონების საჯაროდ გამოყენებას“, რაც ი.კანტის აზრით საზოგადოების ემანსიპაციის და თავისუფალი აზროვნებისაკენ გზის ჩახერგვაა. რომ გადავხედოთ თანამედროვე ქართულ საინფორმაციო სივრცეს კორონასიტუაციასთან დაკავშირებით, დავინახავთ რომ ქართული მედია გვთავაზობს სამყაროს მხოლოდ ერთადერთ ინტერპრეტაციას. წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მხარე, ერთი აზრი. - ეს ძლიერ გვაგონებს სსრკ-ში არსებულ საინფორმაციო პოლიტიკას. მხოლოდ სოც-ქსელებში ხდება ალტერნატიული ინფორმაციის გაჟონვა. სხვადასხვა ბლოგერების და ინტერნეტტელევიზიების გზით. covid-საინფორმაციო ველი საქართველოში ძირითადად ადამიანებზე მეურვეობის სურვილის მქონე ფიგურებით არის ოკუპირებული, ესენი იქნებიან პოლიტიკოსები, მედიკოსები თუ ჟურნალისტები. შესაბამისად იზღუდება და ცენტრალურ ტელევიზიებში საერთოდ იკრძალება კოვიდსიტუაციასთან დაკავშირებით გონების საჯარო გამოყენება. კანტი წერს რომ „იმისათვის, რომ ადამიანი ზრდასრული გახდეს ანუ თავისი განსჯის გამოყენება შეძლოს...ამისათვის საჭიროა არსებობდეს გონების საჯარო გამოყენების შესაძლებლობა“. მაგრამ სამედიცინო სფეროში სწორედ ეს შესაძლებლობაა გაუქმებული ქართულ საჯარო სივრცეში.

მაშასადამე ქართული პოლიტიკური კლასის და მედიამედიკოსების საინფორმაციო პოლიტიკა შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: 1.აშინებენ ადამიანებს რომ დამოუკიდებლად აზროვნება, ანუ განსჯის უნარის მეურვის გარეშე გამოყენება ძალზე საშიშია. რომ ადამიანებს გაუჭირდეთ უმწიფრობისგან თავის დაღწევა. შიში კეტავს და ახშობს აზროვნებას, ლოგიკურ უნარებს. კოვიდსიტუაციის დროს განსჯის სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე გამოყენებაში გაცილებით მეტ რისკს ხედავენ ადამიანები, ვიდრე თუნდაც სხვა დროს. სიკვდილის შიშის დროს უფრო ძნელია დამოუკიდებელი აზროვნების გაბედვა და ანალიტიკური შრომის ჩატარება. 2. ქმნიან დადგენილებებს და ფორმულებს - გაიდლაინებს, პროტოკოლებს, რომლებიც განსჯის დამოუკიდებლად ვერგამოყენების მექანიკური ინსტრუმენტებია და „უმწიფრობის ბორკილებს“ წარმოადგენენ. მედიცინის სფეროში ადამიანებს ამით ეკრძალებათ თავიანთი ნიჭის და ცოდნის საფუძველზე ინდივიდუალური მიდგომები და დამოუკიდებელი გადაწყეტილებების მიღება. ეს არის მედიცინის სფეროში ფიქრის დაბლოკვის ინსტრუმენტები. 3. ზღუდავენ ან აუქმებენ განსჯის საჯაროდ გამოყენების უფლებას საზოგადოებაში. განსაკუთრებით მკაცრად კონტროლდება ცენტარული ტელევიზიები. ასევე სოც-ქსელებიდან Facebook-ი.

ყოველივე ამით თითქმის სრული პოლიტიკური კლასი და მედიამედიკოსები ინარჩუნებენ ადამიანებს უმწიფრობის მდგომარეობაში და თავად ევლინებიან მათ „მეურვეებად“.

სწორედ ამის შედეგია, რომ გლობალური კოვიდსიტუაციის ალტერნატიული ხედვა, რომელიც წარმოდგენილია დასავლეთის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების (განასაკუთრებით საფრანგეთის, აშშ-ს და ბრაზილიის) გრანდიოზულ საპროტესტო დემონსტრაციებში, საქართველოში ჯერ-ჯერობით ამ მასშტაბებში არ გვხვდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარ ელიზბარაშვილი. ქართული სოციალური მანქანა. თბილისი. უნივერსი 2009;
2. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2019.

Georgian public awareness and covid-information field

Elizbar Elizbarashvili

Free Academy of Tbilisi Associate Professor, Doctor of Philosophy, eelizbarashvili@freeacademy.edu.ge

Abstract

The paper discusses the article by the German philosopher Immanuel Kant - "What is the Enlightenment?" It analyzes the Kantian understanding of the "immature" state of the individual. "Immaturity" is the inability of a person to use his judgment independently, without guardians, to make his own decisions at his own risk and as a result of analytical work. According to Kant, the mass of the immature creates an immature consciousness in society, the exit from which and the escape is the path to enlightenment. The mass of immature consciousness in modern Georgian society regarding the Corona situation is described based on the presented approach. The paper reveals that Groups of guardians, which in the community, deliberately hinder the transition of individuals from an immature state to a free, independent state of thinking and acting. Listed are the tools they used on this road. Finally, the report states that this public awareness contributes to the weakness of the Corona situation protest wave in Georgia compared to Western countries.

თბილისი, ჯ. ნადირაძის ქუჩა N46, 0102
ტელეფონი: +995 (322) 36 91 60
ელ.ფოსტა: info@freeacademy.edu.ge
www.freeacademy.edu.ge